ეროვნული
ბიბლიოთეკა

-47
1933.

# პიონერი

140
1933
№1-12



№1

1933

სახელგამი

ეროვნული
ბიბლიოთეკა

**მუშათა საქმისათვის იყავ მზად!**

# პიონერი

საქართველოს. ა. კ. ო. ცენტრალური ბიუროს და განათლების სახალხო კომისარიატის ჟურნალი ბავშვთათვის.

# იანვარი

**1933 წელი**

წელიწადი მე-8-ე.

**№ 1**

რედაქციის მისამართი: ტფილისი, ალმასკომის ქ. № 7.
ახალგაზრდობის და საბავშო ლიტერატურის სექტორი.

## შინაარსი

1. ამხ. კრუპსკაია ვ. ი. ლენინის შესახებ . . . . . . . . 1
2. ლენინი — ლექსი, ავთ. კაშმაძე . . . . . . . . . . . 2
3. სისხლიანი კვირა, — ლექსი, ნოე დაფნარელი . . . . . . . 3
4. როგორ ხვდება სხვადასხვა ქვეყანა ახალწელს . . . . . . 4
5. ლენინი სცოცხლობს — ლექსი, ლ. ქიქინაძე . . . . . . 5
6. შირაქი იპექებს (დასასრული) ვ. მთვარაძე . . . . . . . 6
7. პაცანა, — ლექსი გ. ქუჩიშვილი . . . . . . . . . . . 9
8. ნარკვევები თაჯიკისტანის ექსპედიციიდან ლ. მარუაშვილი 10
9. წერილი ბერლინიდან, — ლექსი გ. შატბერაშვილი . . . 12
10. კირის ქარხანაში, — ვლადიმერ თოდუა . . . . . . . . . 12
11. განუხორციელებელი ოცნება . . . . . . . . . . . . . 16
12. ნორვეგიელი პიონერის წერილი . . . . . . . . . . . . 19
13, ბოლშევიკებმა აღმოაჩინეს ციმბირი ბეზბოროდოვი . . . 20
14. არკადი ხუნდაძე, — „რექტორ ჩუდეცკის მკვლელი იოსებ ლალიაშვილი". ქ. მ. . . . . . . . . . . . . . . . . 24

სტამბა პოლიგრაფსკოლისა ა. წერეთლის ქ. № 3–ა.

შეკვეთა 810. — მთავლიტი 693. — ტირაჟი 8100.

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

წელიწადი მე-8.

# პიონერი

მუშათა საქმისათვის იყავ მზად!

პიონერი

საქართველოს ა. კ. ლ. ცენტრალური ბიუროს და განათლების სახალხო კომისარიატის ჟურნ. ბავშვთათვის.

რედაქციის მისამართი: ალმასყოფილის ქ. № 7.

სახელგამი, საყმაწვილო და საბავშო სექტორი.

№ 1. — იანვარი 1933 წ. — № 1.

## ამხ. კრუპსკაია ვ. ი. ლენინის შესახებ

19 იანვარს კომაკადემიასთან არსებულ პედაგოგ მარქსისტთა საზოგადოებაში შედგა საღამო, რომელზედაც ლენინის ხსოვნისადმი მიძღვნილი მოხსენებებით გამოვიდენ ამხ. **კრიჟანოვსკი, კრამოლნიკოვი, მეშჩერიაკოვი და სხვ.** გამოვიდა აგრეთვე ამხ. კრუპსკაია, რომელმაც გაუზიარა დამსწრეთ თავისი მოგონებები ლენინის შესახებ.



ვ. ი. ლ ე ნ ი ნ ი

ამხ. კრუპსკაიამ ილაპარაკა, თუ როგორ მუშაობდა ლენინი მარქსზე. ვ. ი. ამბობდა, რომ ყველამ, ვისაც კი სურს მიმართოს მარქსს რჩევადარიგებისათვის, უნდა ისწავლოს სწორად მიუდგეს მას, თუ რა მიიღოს მარქსის მოძღვრებიდან. უნდა ვისწავლოთ მარქსისაგან, თუ როგორ გავუკეთოთ ანალიზი რევოლუციას ƙ მუშათა მოძრაობას, რათა შევიარაღდეთ ბრძოლისათვის. ხშირად, რევოლუციის უძნელესი გარდატეხის მომენტებში, როდესაც დგებოდა მთელი რიგი მეტად მწვავე საკითხები, ვ. ი. განსაკუთრებით გულმოდგინედ იწყებდა მარქსის კითხვას. ამგვარადვე სწავლობდა ვლადიმერ ილიჩი მარქსს კრონშტადტის აჯანყებისა და 1905 წლის რევოლუციის დროს. ვ. ი. სწავლობდა მარქსის ნაწარმოებებს, რომელნიც ეხებიან 1848 წლის საფრანგეთისა და გერმანიის რევოლუციებს. მარქსის მოძღვრება აიარაღებდა ლენინს განსაკუთრებული შორსმჭვრეტელობით.

მიუთითა რა ეხლახან ჩატარებულ საკ. კ.პ. (ბ) ცეკას და ც. ს. კ. გაერთიანებულ პლენუმზე, ნადეჟდა კონსტანტინოვნამ აღნიშნა, რომ ეს იყო მართლაც, ლენინური პლენუმი. განსაკუთრებით დიდი მნიშვნელობა აქვს პლენუმის გადაწყვეტილებებს, რომელნიც ეხებიან სამეურნეო მშენებლობის საკითხებს და სოციალიზმის მშენებლობის ეკონომიური ბაზის განმტკიცების საკითხებს. თავის სიცოცხლის უკანასკნელ წლებში, ოქტომბრის რევოლუციის შემდეგ, ვ. ი. ლენინი განსაკუთრებით ხაზგასმით აღნიშნავდა სოცმშენებლობისათვის ბაზის შექმნის აუცილებლობას. როდესაც ვ. ი. უკვე ავადმყოფი ცხოვრობდა გორკაში, ამხანაგებს სურდათ მისი გახარება და გორკაში მიიტანეს ტრაქტორი, რომ ეჩვენებიათ, თუ როგორ გაიზარდა ჩვენი მრეწველობა, ჩვენ ახლა ტრაქტორიც გვაქვს. ტრაქტორი აქშინდა, გადადგა ორი ნაბიჯი, მაგრამ შემდეგ შეჩერდა. ლენინმა სევდიანად ჩააქნია თავი. ეს იყო 1923 წელს. ეს წვრილმანი შემთხვევა გვიჩვენებს, თუ როგორი უზარმაზარი გზა განვვლეთ ჩვენ ამ წლების განმავლობაში -1923 წელში ჩვენ არ გვქონდა ტრაქტორი, რომელიც ნამდვილად იმუშავებდა. ახლა ჩვენ გვაქვს 160 ათასი ტრაქტორი.

ასეთივე დიადი მნიშვნელობა აქვთ პლენუმის გადაწყვეტილებებს სოფლად მუშაობის შესახებ. 1921 წ. ლენინი აკეთებდა მოხსენებას პოლიტგანათლების მუშაკთა მე-2 ყრილობაზე და ამბობდა:

„მემამულეები ჩვენში უკვე აღარ არიან, მტერი დამარცხებულია, მაგრამ არსებობს მტერი ჩვენს შორის, და ეს მტერია წარმოების ანარქიული წესი, საქონლის ბრუნვის ანარქიული წესი,

ეროვნული ბიბლიოთეკა

...ქედან გამომდინარე, წარმოების ...მ ანარქიულ წესზე საუკუნოებით ...ზრდილი წვრილბურჟუაზიული, ...ვრილმესაკუთრეობრივი იდეოლო- ...ია, რომლის წინააღმდეგ საჭიროა ...რძოლა. მტერი ჩვენს შორისაა, მაგ- ...ამ მასა უვიცია და შეუგნებელი ...ია მან არ იცის, სად არის ეს მტე- ...რი". თქვენ იცით, აღნიშნა ამხ. ...კრუპსკაიამ, რომ ახლა კლასობრივი ...რძოლა უმთავრესად სოფლად წარ- ...მოებს. და რომ ახლა საჭიროა მეტის- ...მეტი სიფხიზლე, დიდი ახსნა-განმარ- ...ტებითი მუშაობა და თანამიმდევარი ლენინური პოლიტიკა სოფლად. ამის შესახებ ილაპარაკა ცეკასა და ც. ს. კ. უკანასკნელმა პლენუმმა. პარტიის თვითეული წევრთაგანი, რომელიც დაესწრო ამ პლენუმს, გრძნობდა, რომ მისი მოვალეობაა იაროს პარ- ტიისა, პოლიტბიუროსა და ცეკას მიერ ნაჩვენები ხაზით, იაროს იმ ხაზ- ზე, რომელსაც მიუთითებს ამხ. სტა- ლინი.

ვ. ი. ეუბნებოდა სოფლად მიმა- ვალ მუშებს; „თქვენ უნდა გადას- ცეთ თქვენი ენტუზიაზმი სოფლის მასწავლებლებს, მიიზიდოთ ისინი, შეაგნებინოთ მათ რისთვისაა ბრძოლა, და რომ ეს ბრძოლა მიმდინარეობს ახალი წესწყობილებისათვის, სოცი- ალიზმისათვის".

თავის უკანასკნელ წერილებში ვ. ი. განსაკუთრებით აღნიშნავდა სოფ- ლის კულტურული დონის ამაღლე- ბის აუცილებლობას. ის ამბობდა: „არაა საკმაო მარტო წერა-კითხვის ცოდნა. საჭიროა შევაიარაღოთ მა- სები ცოდნით, საჭიროა ცოდნით შევაიარაღოთ ახალგაზრდათა თაობა, საჭიროა დიდი კულტურული ბრძო- ლა".

დასასრულ, ამხ. კრუპსკაია და- წვრილებით შეჩერდა განათლების მუ- შაკთა როლზე იმ ამოცანებთან და- კავშირებით, რომელიც დააკისრა მათ ცეკას და ც. ს. კ. პლენუმის დად- გენილებებმა.

„ვ. ი. ხშირად ამბობდა, — დაამ- თავრა ამხ. კრუპსკაიამ, — რომ თვი- თეული მიდის კომუნიზმთან თავისი გზით: ექიმი — თავისებურად, ინჟინე- რი და მეცნიერი — თავისებურად, პე- დაგოგი — თავისებურად. მაგრამ თვი- თეული მათგანი თავისი მუშაობის და მის წინაშე მდგარ მოვალეობის შეგ- ნებით, იმავე დროს იწყებს იმის შეგ- ნებას, რომ მხოლოდ კომუნიზმი და- ეხმარება მას განახორციელოს ეს ამოცანები მთლიანად, მე ვფიქრობ: თვითეული ხედავს, რომ საჭიროა მტკიცედ შემჭიდროება და კიდევ უფრო მტკიცედ დაკავშირება ჩვენს პარტიასთან, რათა საერთო ძალ-ღო- ნით მივიყვანოთ ბოლომდე ლენი- ნის საქმე".

ამხ. კრუპსკაიას გამოსვლას მქუ- ხარე აპლოდისმენტებით შეხვდენ.



ავტომრავების შეჯიბრი ტფილისი — კავკავი. მოტო—რაზმი ტფილისის სტარტზე, თავისუფლების მოედანზე.

## ლენინ

ცხრაწელმა განვლო,
არ შეცვლილა პარტია ჩვენი,
ის არ გაზრდილა მრავალ ბრძოლით
დღესა თუ გუშინ.
მსოფლიო მასებს მუდამ ახსოვსთ
გიგანტი-ლენინ,
რომელიც ცოცხლობს
კომუნისტურ პარტიის გულში.
ცეცხლიან სიტყვით
ის მოვიდა ჩვენთან და გვამცნო,
რევოლუცია მოგვიტანა აფრად გა-
შლილი,
— მაშ რა გალონებს, გაიხარე,
მშრომელო კაცო,
და მიღწევები მოგვიტანე მეტად გა-
ზრდილი.
ტყვიის ნისლებში ტრიალებდა ჩვენი
არმია,
დიდი ოქტომბრის პირველ მერცხალს
ყველა ვამჩნევდით,
გახსოვთ,. მტრის ზღვარი
თუ რამდენჯერ გაგვიტანია
და შეგვილებავს მდიდარ კლასის
მწვანე ფარჩები.
ჩვენთან, ჩვენს გვერდით
იგი იდგა მღიმარ თვლებით,
მისი სიტყვები ჰაერს ჭრიდა,
მტრის ბრბოს აპობდა,
მას შესცქეროდენ მებრძოლ ხალხის
კომუნარები,
და ამბოხებულ რიგებიდან
სიტყვას ამბობდა.
ბევრჯერ აწამეს ჯალათებმა
მისი სხეული,
მაგრამ ბრძოლები
გადიტანა უშიშარ მკერდით,
ბრძოლის პათოსად
იგი იყო გადაქცეული
და მებრძოლ კუნთით
მოუძღოდა პარტიას გვერდით.
დე, მაშ ავწიოთ
ლენინური პარტიის დროშა
და ერთი წუთით ძირს დავუშვათ
ჩვენ გლოვის ნიშნად,

ეროვნული ბიბლიოთეკა

მედგარ ლენინურ პარტიის ხაზს
არ გავამრუდებთ
მეცხრე წლის თავზე, დიდო ლენინ,
შენ სახეს ვფიცავთ.
და ლენინიზმით ანთებული
შენი გვარდია
მეორე ხუთწლედს
შეასრულებს გადამეტებით,
წინსვლის
ბიჯებით გაიზრდება ჩვენი პარტია
და ააშენებს სოციალიზმს
ახალ მკერდებით.
ახალ ტექნიკის ათვისება,
ახალ ქარხნების ფუნდამენტი გვაქვს
და შენობაც ამოყვანილი,
ამ პირველ ხუთწლედს
ჩვენ ვამთავრებთ გადაჭარბებით
და ხელმძღვანელი
წინ მიგვიძღვის
კობა — სტალინი:
ჩვენი ხსოვნა აღბეჭდილია
ის არ ჩაქრება არასოდეს,
არასდროს ჩვენით
და მშრომელ მასებს
პარტიასთან· ემახსოვრება,
უკვდავი ძეგლი და გიგანტი
ამხ. ლენინ!

**ავთანდილ კაშმაძე,**

---




კვირადილაა.
გუგუნებს ზარი,
გუგუნებს თოვლში
ქალაქის გული,
სისხლის თარიღი
,,ცხრა იანვარი'',
მოდის
წყლულებით დამძიმებული!
ფართე ქუჩაში
მისდევს რიგ-რიგად
ავტო ავტოებს,
ეტლები ეტლებს,
და ამ გუგუნში
ფაბრიკებიდან
მოაქვთ დროშები
პუტილოველებს.
ათასეულთა
რიგები მწყობრი
მხურვალე გრძნობით
მოჰყვება ხატებს:
მიუძღვის მასებს
„მამა'' გაპონი
პროვოკატორი
და მოღალატე!
მოელის ხალხი
ზევიდან შველას:
,,მეფევ! მოგვეცი
ცხოვრება, პური!''
გუგუნებს მასა...
ცა მოჩანს ბნელად,
ცა ჩრდილოეთის,
ცა მოღრუბლული!
ზამთრის სასახლე
დგას გათოშილი...
მდუმარებს წუთი
ცივი და მძიმე,
გულში ფარულად
ირხევა შიში,
მაგრამ ჯერ არვინ
არ კარგავს იმედს!
წინ მიდის ხალხი
აჩქარებითა
მეფის დიდებით,
გალობით,
წირვით...
მაგრამ... ჰა, უცებ
სასახლის მხრიდან
გამოჩნდა რუხი
ჯარის ნაწილი!
და... მოულოდნელ
აფეთქდა წამი,
შეირხა მასა
და შეტორტმანდა:
პურის ყანასებრ
მოცელა ხალხი
ტყვიამფრქვეველთა
შმაგ კანონადამ.
გაისმა ხმები
საზარი... მკაცრი.
თოვლში ჩაეცა
დროშა ფრიალით...
ჰა, ერთი გოგო...
ფერი აქვს ნაცრის,
დედას ეკრობა
ხუჭუჭთმიანი!
რა ჰქნას პატარამ!
მირბის ქუჩაში,
მისთვის
ეს შტორმი ჰგავს
საშიშ სიზმარს!
მირბის და...
უცებ მოხვდა
მას თავში
პატარა ტყვია,
იფეთქა სისხლმა.
და სისხლი! სისხლი!
რუ მიდის სისხლის...
მასები სისხლს
მორევში ცურავის,
მხოლოდ ცა შავი,



კასპის ქარხანა.

მოცული ნისლით,
დაჰყურებს შავად
ამ საზარ სურათს.
მოცელა ხალხი
ხმალმა და ტყვიამ,
გაისმის კვნესა,
ქარი მოწივის,
თოვლიც ნაჭრებად
ქუჩაში ყრია
ცულით დაჩეხილ
ცხენის ხორცივით.
გათავდა. მორჩა.
დაცრა სასახლე,
დგას იგი ისევ
გულქვად, პირქუშად,
გმინავს ქუჩაში
დაჭრილი ხალხი,
სისხლით და ლეშით
სავსეა ქუჩა.
არ ჩანს გაპონი...
აზრს და შეგნებას
მოსცილდა რწმენის
ბურუსი, ნისლი,
რომ
მასებს მისცემს
კვლავ გამარჯვებას
ცხრა იანვარში
დაღვრილი სისხლი.

**ნოე დაფრანელი**

---

# როგორ ხვდებიან ქვეყნები ახალ წელს

სამ წელზე მეტია, რაც გრძელდე-ბა მსოფლიო ეკონომიური კრიზისი. კრიზისმა გამანადგურებელი გავლენა იქონია საერთაშორისო ეკონომიურ ურთიერთობაზე. ბურჟუაზიულ პრესას ტრადიციად ჰქონდა გადაქცეული ყოველწლიურად, საახალწლოდ, ჯამი გაეკეთებია საშინაო და საგარეო პოლიტიკისათვის, გამოეხატა საახალწლო სურვილები. მაგრამ გაძლიერებულმა საშინელესმა კრიზისმა ბურჟუაზიულ კალმოსნებს და მოღვაწებს დაავიწყებინა ეს ტრადიცია იმ მხრივ, რომ მათ ჯამის გაკეთება საშინაო და საგარეო პოლიტიკისათვის უხდებათ არა წლის დამლევს, არა საახალწლოდ, არამედ თითქმის ყოველდღე, რადგან ყოველ დღეს მოაქვს კაპიტალიზმის საშინაო და საგარეო წინააღმდეგობათა ახალი გართულებანი, ახალი ფაბრიკა-ქარხნების დახურვა, ახალი მილიონი უმუშევრები.

ბურჟუაზიული კალმოსნების და მოღვაწეების წინასწარი განჭვრეტა უფრო და უფრო უიმედო ხდება, კაპიტალისტური სამყაროს კრიზისის რკალი უფრო და უფრო ვიწროვდება, მსოფლიო ეკონომიური კრიზისი იმდენად თვალსაჩინო ხდება, რომ ბურჟუაზიული სამყაროს ყველაზე უერთგულესი დამცველნიც კი სასოწარკვეთილებამდე მიდიან. ნათქვამის ნათელსაყოფად საკმარისია თვალი გადავავლოთ ზოგიერთ ციფრობრივ მასალებს.

**პროდუქციის დაცემის ტემპი პროცენტებით:**

| | 1930 წ 1929წ. თან შედარებ. | 1931წ. 1930წ. თან შედარებ. | 1932 წ 1931წ. თან შედარებ. |
|---|---|---|---|
| თუჯი . . | 15,6 | 32,3 | 37,3 |
| ფოლადი . . | 1,91 | 28,0 | 33,9 |
| ნახშირი . . | 7,3 | 14,1 | 16,2 |

მსოფლიო გემთმშენებლობა აშკარა განადგურების გზაზე დგას; თუ 1929 წლის 1 ივისისათვის საშენებელი გემების რიცხვი 1.054 იყო, 1930 წ. იგი 797 უდრის, 1931 წ. — 335, ხოლო 1932 წლის 1 ოქტომბრისათვის ყველა კაპიტალისტურ ქვეყნებში შენდებდა მხოლოდ 32 გემი.

კაპიტალისტური სამყაროსათვის 1932 წ. არის უსაშინელესი დაცემის და კრიზისის წელი არა მარტო სამრეწველო პროდუქციის გამომუშავების დარგში, არამედ კრიზისმა გამანადგურებელი გავლენა იქონია მსოფლიო ვაჭრობაზედაც. 1929 წლის პირველ ნახევარში მსოფლიო ვაჭრობის ბრუნვა 126,2 მილიარდ მარკას უდრიდა, 1932 წლის პირველ ნახევარში კი 51 მილიარდ მარკას შეადგენდა. ამრიგად, 1929 წლის პირველ ნახევართან შედარებით, მსოფლიო ვაჭრობის ბრუნვა 60 პროცენტით შემცირდა.

მსოფლიო აგრარული კრიზისი უფრო და უფრო ღრმავდება, — რომელსაც განადგურებამდე მიჰყავს ათეული მილიონი გლეხური მეურნეობანი. გლეხურ მეურნეობათა სყიდვითი უნარიანობა უფრო და უფრო ეცემა, ეს კი ხელს უწყობს კრიზისის კიდევ უფრო გაღრმავებას. არა ნაკლებად ეცემა მუშათა კლასის სყიდვითი უნარიანობა.

გასული 1932 წ. არის კაპიტალისტური ქვეყნების პროლეტარიატის საშინელი სწრაფი გაღატაკების წელი. კრიზისების მეოთხე ზამთარმა შექმნა უმუშევართა ახალი არმია. ძირითადი კაპიტალისტური ქვეყნების პროლეტარიატი ამჟამად ჩამოშორებულია წარმოებას.

შეერთებულ შტატებში უმუშევართა რიცხვმა წარმოებასა და სოფლის მეურნეობაში 17 მილიონ კაცს მიაღწია. გერმანიაში უმუშევართა რიცხვმა, რომელნიც ოფიციალურად გატარებულნი არიან რეგისტრაციაში, მარტო ნოემბრის თვეში გადააჭარბა 250 ათას კაცს და 15 დეკემბრისთვის 5. 604 ათას მილიონია, სინამვილეში კი უმუშავართა რაოდენობა 9 მილიონ კაცს აღწევს, ინგლისში, ოფიციალური ცნობების მიხედვით, უმუშევართა არმია 3 მილიონამდე. აღწევს, ფაქტიურად კი უმუშევართა რიცხვი ვაცილებით მეტია. კაპიტალისტურმა კრიზისმა უმუშევრად დატოვა არა მარტო ინტელიგენციის ის ნაწილი, რომელიც თავისუფალი შრომით ირჩენდა თავს, არამედ უმუშევარია მაღალკვალიფიციური ტექნიკური ინტელიგენციის საგრძნობი ნაწილიც.

ყუთების ნამტრევებიდან გაკეთებული ქოხმახები, კონსერვების ყუთები ჭურჭლეულობის მაგიერ, მჭვარტლიანი ლამფები, სანაგვე ყუთებში ამოკრეფილი ნარჩენები საკვებად, — ასეთია ის პირობები, რომელიც შეიქმნა ათეული მილიონებისათვის კრიზისის შედეგად შეერთებულ შტატებში, გერმანიაში, ინგლისში, საფრანგეთში დ სხვაგან. ასეთი არაჩვეულებრივი საცხოვრებელი პირობების

შედეგად გახშირდი ავადმყოფობა, სიკდილიანობა, თვითმკვლელობა, სისხლის სამართლის დანაშაული. 1931 წ. მარტო გერმანიაში გაჭირვების ნიადაგზე თავი მოიკლა 20.000 კაცმა. ბერნში მრავალი ათასი ბავში მოკლებულია სკოლაში სიარულის საშუალებას, რადგან არა აქვთ ფეხსაცმელი და ტანსაცმელი.

## ლოზუნგები.

კაპიტალიზმი შევიდა შიმშილის მეოთხე ზამთარში, ეს არის მეოცე საუკუნის უსაშინელესი ზამთარი.

მრავალი ათასი დახურული ფაბრიკა-ქარხნებით, ათეულ მილიონ უმუშევრებით, მასების უკიდურესი გაღატაკებით და შიმშილობით, კლასობრივი ბრძოლების ზრდით, მილიარდებიანი საბიუჯეტო დეფიციტით, იმპერიალისტურ წინაალმდეგობათა უკიდურესი გამწვავებით, გაავთრებული საომარი სამზადისით ხვდება კაპიტალისტური სამყარო 1933 წელს.

იმ დროს, როცა ასეული მილიონები შიმშილისაგან სასიკვდილოდ არიან განწირული, მსოფლიო ბურჟუაზია, სოციალ-ფაშისტების დახმარებით, ახალ ომს ამზადებს და ამით გამოსავალს ეძებს შექმნილი კრიზისიდან. შეიარაღების ხარჯების დასაფარავად, ის, მსოფლიო ბურჟუაზია, გაღატაკებულ მასებს აკისრებს ახალ საგადასახადო ტვირთს.

კაპიტალისტურ სამყაროში შექმნილმა კრიზისებმა გამოიწვია კლასობრივი თვითშეგნების გაღვივება იმ მასებშიც კი, რომლებიც წინათ შორს იყვნენ კომპარტიის გავლენიდან. ეკონომიური კრიზისის უფრო და უფრო გაღრმავებით ყოველდღიურად ფართოვდება კომპარტიების მასობრივი მუშაობა, ღრმავდება კლასობრივი ბრძოლის ფრონტი, ახალი ათეული მილიონები დგებიან კომინტერნის დროშის ქვეშ და მით უნდათ მიაღწიონ სრულ პოლიტიკურსა და ეკონომიურ განთავისუფლებას.

იმ დროს, როცა კაპიტალისტურ ქვეყნებში ყოველდღიურად ღრმავდება ეკონომიური კრიზისი, იხურება ფაბრიკა-ქარხნები, ათეული მილიონები უმუშევრად რჩებიან და ოჯახის წევრებთან ერთად შიმშილობენ, — საბჭოთა კავშირი მტკიცედ მიდის სოციალიზმის მშენებლობის გზით. ჩვენი ქვეყანა საერთაშორისო სოციალიზმის ბაზაა. ჩვენი ქვეყნის მუშათა და კოლმეურნეთა მასებმა, საკავშირო კომპარტიის ხელმძღვანელობით და ამხ. სტალინის მეთაურობით, წარმატებით შეასრულეს ხუთწლედი 4 წელში. ასეთივე წარმატებით გავახორციელებთ მეორე ხუთწლედს, ვაშენებთ სოციალიზმს. ამით ჩვენ მკვიდრ ბაზას შევქმნით სოციალიზმის გამარჯვებისათვის მთელ მსოფლიოში. იმ დროს, როდესაც კაპიტალისტურ სამყაროში იზრდება შინაური და საგარეო წინააღმდეგობანი, რღვევა და დაბნეულობა, საბჭოთა კავშირი პროლეტარული რევოლუციის გამარჯვების ურყევი რწმენით ხვდება 1933 წელს, მორიგ ახალი გამარჯვებათა წელს.



კასპის ცემენტის ქარხანა. ქარხნის მბრუნავი ღუმელი.

# ლენინი ცოცხლობს

ჩვენ შენზე ცრემლებს არ დავღვრით.
ლენინ,
ეს ლენინელებს არა გვჩვევია.
თვით შენც ხომ ათას სიძნელეთა წინ
ცრემლი არასდროს დაგიფრქვევია.

—

შენ დაჩაგრულთა მტერი გათელე,
იბძოდი სიტყვით, კალმით და მკერდით
შენმა ბრძოლამ და აზრმა ნათელმა
ამოგვიყენა ცხოვრებას გვერდით.

—

დიახ, ჩვენ ცრემლებს არ დავღვრით,
ლენინ,
ცრემლი მებრძოლებს არა სჩვევია.
თვით შენც ხომ ათას სიძნელეთა წინ
ცრემლი არასდროს დაგიფქვევია.

—

არ დავღვრით ცრემლებს არა იმიტომ,
თითქოს შენ აღარ ცოცხლობდე
ჩვენთან,
არა, გენიოსს ვერ დაჩრდილავე
თვით ქარავანნი მილიონ წელთან.

—

ჩვენი ცხოვრების ყველა ეტაპი,
სავსე გმირობით და საოცრებით,
შენს ხსოვნას მუდამ უკვდავყოფს,
რადგან
გამართლებაა შენი მოძღვრების.

—

ჩვენ ყოველ ნაბიჯს წინ ბრძოლით
ვადგამთ,
ვართ ლენინიზმით ძალშეძენილი.
ვამბობთ:-ლენინი თუმც მოკვდა,
მაგრამ
ჩვენ შორის მაინც ცოცხლობს
ლენინი

ეროვნული ბიბლიოთეკა




ახალი ემავალი გამოცემა.

# შირაქი იჭექებს

**ინჟ. გიჟიმყრელთან**

დილით ხალისიანად წამოვხტით. ჩვენ ცოტა დროლა გვაქვს, უნდა ყველაფერი მოვასწროთ. დღეს საღამოთი უთუოდ უნდა ჩავიდეთ წნორისწყალზე. გიჟიმყრელს უნახველს არ გავუშვებთ! პირი დავიბანეთ, ჩაი დავლიეთ და გარეთ გამოვედით. ისევ ყინავს. მიდამოები წვანან თეთრ საფარ ქვეშ. თოვლში კოჭებამდე ვეფლობით, თუმცა აღარ თოვს. ცა ემხადება შავბნელი რიდის გადასაყრელად. ჩვენ ამას ვკითხულობთ არეულ ღრუბლებში. გულს უფრო ემატება ხალისი. ჩვენ კვლავ ვათვალიერებთ სარეწაოებს. ვნახეთ ბურღის ტრიალი, სადაც კომკავშირელი დამკვრელები მუშაობდნენ. შევიარეთ სასადილოში, საჯინიბოში, სახელოსნოებში, სამკითხველოში, გავეცანით ნავთის ამოტუმბვის პროცესს, ზოგიერთი შენიშვნაც ჩავიწერეთ და არხიპ ნიკოლაევიჩს მივაშურეთ. უკვე 12 საათია.

— არხიპ ნიკალაევიჩ, დიდად გმადლობთ ასეთი დახვედრისათვის. მშვიდობით ბრძანდებოდეთ! — მხურვალედ ჩამოვართვით ხელი და განვშორდით.

ჩვენ უკანასკნელად კიდევ გადავხედეთ ფერდობებში ჩაფენილ ნავთის სარეწაოებს, მთა-გორიან მირზაანს, შირაქის შორეულ ველებს და წითელი წყაროს გზას დავადექით.

გუშინდელზე უფრო გაძნელდა სიარული. თოვლმა ბილიკები წაშალა და სიარულსაც გვიშლის. ჩვენ მოვდევთ ვიღაცის ნაკვლევს. 2 საათის სიარულის შემდეგ უკვე წითელ წყაროში ვართ!

კითხვა-კითხვით ვიპოვეთ გეოლოგიური კვლევის კაბინეტი და ინჟ. გიჟიმყრელს წარვუდექით. ალექს. მიხეილის-ძე გიჟიმყრელი მაღალ-მაღალი კაცია, სანდომიანი სახის ნაკვთებით, როგორღაც მორცხვი გამომეტყველებით. ჩვენი მისვლის მიზეზი გავაცანით.

— ოჰო! ტფილისს მოვაგონდით? — თქვა მან კმაყოფილებით და სკამები შემოგვთავაზა. დავსხედით. მე ხელდახელ თვალი გადავკარ მის კაბინეტს. კედელზე ირგვლივ ჰკიდია მოგრძო რუკები, ჭაბურღილების ნომრებით და ადგილის აღნიშვნით. რუკები ფერადებით არის აღნიშნული და თვითეული ფერი პირობითად აჩვენებს მიწის გულში არსებულ ფენებს. ასეთი რუკა დაახლოვებით 30-მდეა. ასეთი შთაბეჭდილება რჩება, თითქოს მირ-

ეროვნული ბიბლიოთეკა



პიონერი მარო მაჩაბელი.

ზაანის და პატარა შირაქის ჭაბურღილები აქ, ამ პატარა ოთახის კედელზე ჰკიდია. მეორე ოთახში ლაბორატორიული მუშაობა წარმოებს.

— აბა, საიდან დავიწყოთ? -შეგვეკითხა იგი.

— ჩვენ გვაინტერესებს შირაქის ნავთის მოკლე ისტორია, დღევანდელი მდგომარეობა, ნავთის ხარისხი და მომავალი პერსპექტივები.

— იცით რა, მე როგორლაც მოყოლა არ მეხერხება, სჯობია ასე: დასვით კონკრეტული შეკითხვები და მე პასუხს გაგცემთ.

— ძალიან კარგი!

ერთ შეკითხვას მეორე მოჰყვა, მეორეს მესამე დ ამ შეკითხვებისა დ პასუხები ჯამით ჩვენ შემდეგი ცოდნა მივიღეთ:

რა დროიდან? არავინ იცის, მაგრამ ქიზიყის მკვიდრთ ახსოვთ, რომ მწყემსებს ხშირად მოჰქონდათ შირაქიდან შავი სითხე, რომელიც ორ-სამ ადგილას ჟონავდა. ამ შავ სითხეს ხმარობდენ ურმის თვლების გასაპოხად, ზოგჯერ კი საწვავ მასალადაც. კარგახანს ამ გარემოებისათვის ყურადღება არავის მიუქცევია. შირაქში ნავთი ჟონავდა, და მწყემსები ხმარობდენ მას!

პირველად პრიმიტიული წესით ნავთის ამოღება დაიწყო პატარა შირაქში სიბენსმა 1877 წელს. ჰქონდა ერთი ჭაბურღილი, 20-40 საჟენი სიღრმის. 1890 წელს ეს ჭაბურღილი შეისყიდა ვინმე ოთაროვმა, რომელიც წელიწადში დაახლოებით 10,000 ფუთ ნავთს იღებდა. წარმოების გაუმჯობესებაზე მაშინ არავის უზრუნია. პროლეტარიატის რისხვით ძილდამფრთხალი მეფის ხელისუფლება განგებ ხუჭავდა თვალებს, რომ საქართველოში პროლეტარიატი, როგორც კლასი, არ გაზრდილიყო. მას ხომ იმ ხანებში რუსეთშიც ვერ ჰქონდა საქმე კარგად: პეტერბუგის ცნობილი გაფიცვები, 1905 წლის რევოლუცია, რომელთა ინციატორი და უშუალო შემოქმედი მოწინავე პროლეტარიატი იყო.

ასეთი მდგომარეობა 1914წ ლამდე გაგრძელდა. მსოფლიო ომმა თუ, უფრო, ჯიბეგასქელებულმა ოთაროვმა თავისი სპეკულაცია მოაწთავრა, მზამზარეული გამოილია, თანხების დაბანდებას მოერიდა, და პატარა შირაქში ნავთის ამოღება შეწყდა.

1914—22 წლამდე შირაქისათვის არავის მიუქცევია ყურადღება. მენშევიკურ ხელისუფლებას არც კი უხსენებია შირაქის ნავთი. მათი უუნარობა ამ ფაქტით ერთხელ კიდევ დასტურდება. მენშევიკური ხელისუფლება ბაქოსთან სპეკულაციას ეწეოდენ ნავთისათვის, შინაური რესურსების გამოყენებაზე კი კრინტსაც არ ძრავდა!

1922 წელს სმუსმა მოსკოვში დასვა საკითხი შირაქის ნავთის დამუშავების შესახებ. მოსკოვმა ნება დართო მცირეფორმიანი იარაღებით დაეწყოთ მუშაობა. მაგრამ ეს შრომაც გამუქთდა, რაკი ზედა ფენები უკვე ამოფიტული იყო სპეკულიანტ ოთაროვის მიერ. უფრო ღრმა ჭაბურღილების გათხრაზე კი მოსკოვმა იმხანად ნება არ დართო სმუსის საბჭოს. ეს მხოლოდ დროებით.

1924 წელს შირაქის ნავთის საბადოები იტალო-ბელგიის კომპანიას დაეცა. ხელშეკრულება დაიდო 1924 წლის 1 მარტს. პირობები მტკიცე იყო და საბჭოთა ხელისუფლებისათვის ხელსაყრელი. იტალო-ბელგიის კომპანიას უნდა ეწარმოებია 4 წლის განმავლობაში კვლევა-ძიებითი მუშაობა, შემდეგ უნდა დაწყებილიყო



პიონერი ვერა ღვინერია.

ნავთიან რაიონებში ექსპლოატაცია. კამპანიამ მუშაობა დაიწყო 1927 წელს პატარა შირაქში და გათხრილ იქნა ჭაბურღილი № 1, სიღრმით 540 მ. ჭაბურღილის თხრა 1928 წელს დამთავრდა. ნავთის ყველა პუნქტები მითითებულ იქნა ინჟ. გიჟომყრელის მიერ. 1928 წ. ხელშეკრულების ერთ-ერთი ძირითადი მუხლი ვერ შეასრულა კომპანიამ. კვლევა-ძიებითი მუშაობა მათ მხოლოდ დაიწყეს და ისიც ძალიან ცუდად. საბჭოთა ხელისუფლებამ ხელშეკრულების ვადა ერთი წლით კიდევ გაადიდა, მაგრამ კომპანიას თანხები არ ეყო და ხელშეკრულება გაუქმდა 1929 წელს.

1924 წელშივე გამოიცა ბრძანება საქ. ნავთის დაარსების შესახებ. 1925-28 წლამდე გათხრილ იქნა ერთი ღრმა ჭაბურღილი და 4 პატარა ჭაბურღილი შირაქსა და მირზაანში. ჭაბურღილში № 1 300 მეტრიან სიღრმიდან ნავთი გამოჩნდა, ხოლო 500 მეტრზე მიღებულ იქნა ნავთის 30 მეტრიანი შადრევანი, რომელიც სცემდა რამოდენიმე წუთს.

ხელშეკრულების გაუქმების შემდეგ საქ. ნავთმა ენერგიულად მოჰკიდა ხელი დაწყებულ საქმეს. პროლეტარულმა ნებისყოფამ გატეხა ველური შირაქი. იგი აქამდე ვერ სძლიეს ვერც წვრილფეხა სპეკულიანტებმა და ვერც მადაგახსნილმა უცხოეთის კაპიტალმა. საბჭოთა ხელი-

უფლებისათვის ახალი წარმოება უპი რველეს ყოვლისა კულტურის საკითხია და შემდეგ საექსპლოატაციო საგანი. ჩვენს ჩამორჩენილ ქვეყანაში თვითეულ ახალ წამოწყებას მოაქვს კულტურის ცხოველმყოფელი შუქი. სწორედ ეს გარემოება ჰქმნის სოციალიზმის მშენებლობის საქმეში გასაოცარ ტემპებს, მასების უჩვეულო ენტუზიაზმს, რაც ძილს უფრთხობს მსოფლიოს კაპიტალს.

და მართლაც: 1930 წელს 7 ახალი ჭაბურღილი იბურღებოდა პატარა შირაქსა და მირზაანში. 1931 წელს გაითხარა 10 ახალი ჭაბურღილი, 1932 წელს კი განზრახულია 14 ახალი ჭაბურღილის გათხრა. ამჟამად 40 ჰექტარი არე უკვე გამორკვეულია, როგორც საექსპლოატაციო უბანი, და ეს დაადასტურა ნავთის სპეციალისტმა აკადემ. გუბკინმა. ამ ორმოც ჰექტარზე განზრახულია წელსვე დაწყებულ იქნეს ექსპლოატაცია, დანარჩენ ადგილებში კი უფრო გაძლიერდეს კვლევა-ძიებითი მუშაობა.

ბაქოს ნავთი მთელ მსოფლიოში პირველია შადრევანის სიმძლავრით. როგორც წინასწარი კვლევა-ძიებით ჩანს, შირაქის ნავთის შადრევანი სუსტია ბაქოსთან შედარებით. მაგ., ბაქოს ნავთის ზოგიერთი ჭაბურღილი დღე-ღამის განმავლობაში იძლევა ასიათას, მილიონ ფუთ ნავთს, ხოლო მირზაანში ჭაბურღილი № 6-დან 4 დღეღამის განმავლობაში ამოღებულ იქნა 12,000 ფ. ნავთი. ამ მხრივ თუ შევადარებთ ამერიკის ნავთს, შირაქის ნავთის შადრევანის სიმძლავრე აღემატება კიდეც ამერიკულს. მაგრამ შირაქის ნავთს აქვს თავისი უპირატესობა, რომელიც მთელი მსოფლიოს ყურადღებას იპყრობს. ბაქოს ნავთი შეიცავს 7—8—9 პროც. ბენზინს, ამერიკის ნავთში ბენზინი არ აღემატება 12—13%-ს, შირაქის ნავთში კი ბენზინი ზოგჯერ 22%-მდე ადის, 18 პროცენტი ხშირია, ამაზე ქვევით კი არ არის. საშუალოდ კი უნდა ვიანგარიშოთ 20%-მდე. მიწის გულიდან ამოღებული ნავთის ღირსება სწორედ ბენზინის დიდ პროცენტებში მდგომარეობს. ამ მხრივ შირაქის ნავთის პერსპექტივები იმდენად დიდია, რომ შედარებაც კი არ შეიძლება სხვაგან არსებულ ნავთის სარეწაოებთან.

რით უნდა აიხსნას შირაქში ნავთის შადრევანის სისუსტე? ამაზე გეოლოგია ასე უპასუხებს:

მიუხედავად იმისა, რომ მირზაანში ნავთის 27 ჰორიზონტი გვაქვს, ყველა ისინი მიწის გულში ალმაცერი დაქანებით იჭრებიან. ამ ჰორიზონტების დასაწყისი მიწის ზედაპირთან ახლოა, ნავთი კი სხვადასხვა. გაზს შეიცავს; ზედაპირთან ახლოს მყოფი გაზები თანდათანობით გაიფანტა სივრცეში, და ნავთის პუნქტებიც გამოიფიტა. ეს, რა თქმა უნდა, ხანგრძლივი პერიოდის ამბავია. მეორე მხრივ, ალმაცერად მიმდინარე ჰორიზონტები ერთ საინტერესო პრობლემას აყენებს გეოლოგიის წინაშე, რომელიც, ძალიან მარტივად რომ ვთქვათ, შემდეგში მდგომარეობს: უხსოვარ დროიდან დედამიწა თანდათან განელების, გაციების გამო იკუმშებოდა. მთა-გორები ერთმანეთს აწვებოდენ და ხდებოდა ერთგვარი შემობრუნება ნიადაგისა, აღმოსავლეთიდან დასავლეთისაკენ. ამ ნიადაგში უხვად იყო ნავთის მარაგი. ბრუნვის გამო დაბლა მყოფი ფენები მაღლა მოექცა, ხოლო მაღლა მყოფი დაბლა, და ჩაიმარხა მიწის სიღრმეში. ეს სიღრმე უნდა ვივარაუდოთ 1500 — 2000 მეტრის სიღრმეზე. ჯერჯერობით შირაქში არ დაურტყამთ ამ სიღრმეზე ბურღი. უახლოეს ხანაში აპირებენ ამ დიდი საქმის დაწყებას, და მაშინ შირაქის ნავთმა, როგორც შადრევანის სიმძლავრით ისე უკვე აღნიშნული თვისებრივი ღირსებით, შესაძლებელია მარტო საბჭოთა კავშირი კი არა, მთელი მსოფლიო გააკვირვოს. მხოლოდ საჭიროა ბურღი ჩასწვდეს ოდესღაც მიწის სიღრმეში ჩამარხულ ფენებს, ეს კი ყველაზე იოლი საქმეა!

ბაასი დავასრულეთ. ჩვენ აღარ ვიცით, როგორ გადავუხადოთ მადლობა.

— მე ყველაფერი მოგახსენეთ, კიდევ ხომ არა გაქვთ შეკითხვა? — გვეუბნება ის. მე შენიშვნა მივეცი.

—თქვენ შირაქის ნავთის დიდი ამაგდარი ბრძანდებით, მაგრამ თქვენს მოღვაწეობაზე არაფერი გითქვამთ.

—ეგ ტყუილია. ვინ [illegible] აბა რა საჭიროა ყველაფერის [illegible] გაწითლდა. მე ძალიან მიკვირს ამ კაცის თავდაბლობა. მიკვირს მაგრამ მაგონდება მისი მორცხვი გამომეტყველება და ჩემთვის ვფიქრობ, რომ ეს თავდაბლობაც მისი ბუნების ლოგიკური დასკვნაა. საბჭოთა კავშირის მშრომელებმა კი იციან მოყვარის დაფასება.

ჩვენ თავაზიანად გამოვეთხოვეთ ერთმანეთს. საღამოს 6 საათზე ავტო მოსწყდა წითელ წყაროს, ნავთის ამ დაბას, და მთის ხვეულებით წნორისწყლისაკენ გაგვაქანა. ორი დღის შთაბეჭდილება იმდენად დიდია ჩემს არსებაში, რომ ერთი წუთითაც ვერ ვიშორებ მათ ჩემის ფიქრებიდან. რამდენიც უნდა ვიფიქრო, რამდენიც უნდა ვქექო შესწავლილი საკითხები, დასკვა მაინც ერთია:

— იჭექებს, შირაქი უთუოდ იჭექებს! იჭექებს შირაქი, და ჩვენს სახალხო დოვლათს ერთი-ათად გაზრდის. იჭექებს შირაქი, და სოციალიზმის მშენებლობის საქმეში თავის წვლილს შეიტანს!

და აი ახლა, ავტოს ხმაურში და თოვლიანი მიდამოების გარემოცვაში მე მაგონდება ჩემი მიზანიც, — მევგრძნობ პასუხისმგებლობის სიმძიმეს, და გული მეკუმშება... შევძლებ ამ რთული საკითხის დაძლევას? შევძლებ, რომ აღვწერო მომხიბლელი ზღაპარი სინამდვილიდან!? მე ხომ ძალიან სუსტი ვარ იმის აღსაწერად, რაც იქ, შირაქის ყრუ ველებში, ხდება!? თითქოს სულით ვეცემი, მაგრამ არასოდეს! რომელი გენიოსს ძალუძს ზუსტად აღიქვას ის საწაულებრივი სინამდვილე, რომელსაც საბჭოთა კავშირის მშრომელები ჰქმნიან! ჩვენ მხოლოდ დაახლოებით შევიცნობთ მას და ასევე გადავცემთ ჩვენი დაუდეგარი ეპოქისათვის არც ეს არის უმნიშვნელო!

გავმხნევდი. სხეულში უჩვეულო ალტყინებას ვგრძნობ. მე მინდა მივესალმო ამეტყველებულ ქიზიყს, დიდებული თემის სამადლობლად მე მინდა დავიცხრო ლირიკული სიმძაფრე და ვთქვა ლექსი: „შირაქო, იყავ მწყემსების და ხდები ნავთისი

ხ. მთვარაძე

ეროვნული ბიბლიოთეკა

# პაცანა

ეჰ, ვინ მოსთვლის
სად არ ვიყავ,
სად არ ვიწანწალე,
რა სიმწარე
გამოვცადე,
რარიგად ვიწვალე!
აღარ მახსოვს,
არც სხვამ იცის:
ვინ ვარ,
სიდან მოველ;
ან დედ-მამა
სად დავკარგე,
სად გამოვიგლოვე.
„პაცანებში“
როგორ მოვხვდი,
ლუკმა როგორ ვპოვე.
ღამღამობით
ნაგვის ყუთი
მქონდა საწოლ ბინად.
სუსხიანმა
ზამთრის ქარმა
ძალლივით მაღრინა,
მაცახცახა,
მავაგლახა,
ცრემლიც მაღვრევინა,
გაჩენის დღე
მაწყევლინა,
ხორცი მაგლეჯინა,
მაგრამ ჩემთვის
ვის ეცალა,-
ყველას შინ ეძინა.
მახსოვს:
დილით, როგორც იყო,
ამოვძვერი ზეზე,
ნაგვის ყუთის
სიბინძურე
მეცხო მთელ სახეზე.
თვალი მომკრა
მეეზოვემ
და გამომეკიდა,
გამვლელი და
გამოვლელი
ყველა ფურთხს მაყრიდა,
მე კი თოვლზე
სისხლსა ვღვრიდი
შიშველ ფეხებიდან.
განუწყვეტლივ
კვალ ში მდევდა:
შიმშილი,
ქარბუქი,
არსაიდან
არა ჩანდა
სანუგეშო შუქი,
და ვნატრობდი
სადმე გდებას
მეეზოვის ქურქით.
ქუჩა-ქუჩა
ვწანწალებდი
ასე ულმოკლულად,
ვისაც ხელს
გავუწოდებდი, —
ის მიბღვერდა
მგლურად.
კერძის სუნი
მეცემოდა
შორს სასადილოდან,
მივირბენდი,
ნერწყვს ვყლაპაყდი,



პოეტი გიორგი ქუჩიშვილი.

ტუჩები მითრთოდა,
მზარეული
ძაღლს აჭმევდა,
მე კი ძვალს მესროდა!
ეჰ, რაღა არ
განვიცადე
ქალაქში თუ
სოფლად,
ან შიმშილით,
ან სიცივით
მოვკვდებოდი
ობლად
და გამვლელი
დამხედავდა
მხოლოდ გასართობლად,-
მაგრამ
„ბავშვთა მეგობარი“
აღმომიჩნდა
მშობლად.
ერთ დიდ სახლში
მიმიყვანეს,
სითბო მაგრძნობინეს,
მზრუნველები
მომიჩინეს,
ალერსი მომფინეს,
შემმოსეს და
დამაპურეს,
სუფთად დამაძინეს.
ეჰ, რა ბევრი
გავხგრძელო,
შვილივითა



ცემენტის ქარხანა. ღუმელი 2000 კასრს ცემენტს იძლევა

ეროვნული ბიბლიოთეკა

მზრდიდენ,
წერა-კითხვას
მასწავლიდენ,
სკოლაში მგზავნიდენ.
დღეს მე
კომკავშირელი ვარ
და ასოთამწყობი,
დამკვრელების
ბრიგადაში
ვერცერთი
ვერ მჯობნის.
აი, ასე დავაღწიე
პაცანობას თავი,
მომავლისკენ
გზას მინათებს
ხუთქიმა ვარსკვლავი
და მზად ვარ,
რომ კომუნიზმსა
მეც შევსწირო თავი!

**გ. ქუჩიშვილი.**

---

# ნარკვევები თაჯიკისტანის ექსპედიციიდან

## უზბეკისტანში

„ცუდია ყინვა, მაგრამ მის წინაალმდეგ არსებობს თბილი ტანსაცმელი და მოძრაობა გაცილებით უფრო ცუდია სიცხე, რომლის წინაამდეგ თითქმის არ არსებობს უებარი წამალი ასე ფიქრობდა თითოეული ჩვენგანი მაშინ, როდესაც მატარებელი არალის ზღვას გასცდა და კაზაკსტანის რესპუბლიკიდან უზბეკისტანში გადაბიჯა.

მატარებელი მიქროდა წინ სამხრეთისაკენ. მარჯვნივ გაჭიმულიყო ჰაერში ატყორცნილი ხეების მწკრივი გვიკვირდა ეს სანახაობა, სანამ არ მივხვდით, რომ ეს იყო მირაჟი (მოჩვენება) მდინარე სივრდარიას ნაპირის, რომელიც აქედან უშუალოდ არ მოჩანს.

ნაშუადღევის 2 საათზე ვაგონიდან თაშკენტის სადგურზე ჩამოვხტით აქამდე ნიავი მაინც ამსუბუქებდა სიცხეს, აქ კი თავი აბანოში ვიგრძენით.

თაშკენტი საბჭოთა უზბეკისტანის დედა ქალაქია. უზბეკისტანს უკავია ვრცელი დაბლობი — მდინარე სირდარიას ორივე მხარეზე. ამ მდინარიდან გამოყვანილი ტოტებით და არხებით დაქსელილია მთელი რესპუბლიკის დასახლებული სივრცე. იქ, სადაც არ არსებობს ხელოვნური წრყვა, უზბეკისტანის ზედაპირი უკაცურ უდაბნოს წარმოადგენს, დაფარულს მოძრავი ქვიშის ბორცვებით ანუ ე. წ. „ბარხანებით“ სადაც აქლემები სიარულის დროს მუხლამდე ეფლობიან

სამაგიეროდ, რწყვის ფარგლებში უზბეკისტანი ეროს მთლიანს და ბარაქიან ოაზისს წარმოადგენს. ბამბა, ვაზი, ნესვი, გარგარის ბაღები ფარავენ უზარმაზარ სივრცეს ამ რესპუბლიკაში.

საკმარისია რომელიმე დიდი არხი დაინგრეს, ან შეწყდეს, და რამდენიმე წელიწადში უდაბნოდ იქცევა ამჟამად აყვავებული ოაზისი.

უზბეკები, ე. ი. ის ხალხი, რომელიც აქ ცხოვრობს, თურქ ეროვნებათა ეკუთვნიან და თურქულადვე ლაპარაკობენ.

ოქტომბრის რევოლუციამდე უზბეკები, ისევე, როგორც აღმოსავლეთის სხვა ერები, დიდს შევიწროებას განიცდიდენ რუსეთის იმპერიალისტური მთავრობისაგან.

უზბეკებს აკრძალული ჰქონდათ:

1) მატარებლებით მგზავრობა.

2) სახელმწიფოებრივ დაწესებულებებში სამსახური.

3) რუსულ სკოლებში სწავლა და სხვ.

ახლა?

ჩვენს ამ კითხვაზე პასუხს იძლევა ქალაქი თაშკენტი. სიტყვა „თაშ-კენდ“ თურქულად ქვის ქალაქს ნიშნავს. საზოგადოდ, უზბეკისტანში ყველა შენობა აგებულია თიხით, და არა ქვით. ცხადია, რომ ქვისგან აშენებულმა სახლებმა აფიქრებინეს უზბეკებს ამ ქალაქებისათვის „თაშკენდი“ დაერქმიათ.

პირადად მე ამ ქალაქს „ბაღების ქალაქს“ ვუწოდებდი, ვინაიდან აქაური სახლები მომაგონებენ კუნძულებს მწვანე ბაღებში თაშკენდის.

თავისებურობას შეადგენს სხვადასხვა ზომის ღია არხები, რომლებიც მიჰყვებიან ქუჩებს ორივე ნაპირით და ჰკვეთენ მათ. არხები მღრიე წყლითაა სავსე. ესა სამწუხაროდ, თაშკენდის წყალსადენიც, კანალიზაციაც და ეპიდემიათა წყაროც. მთავარ ქუჩებს მიჰყვება ტრამვაის ხაზი. სიცხის გამო ქუჩებში ახლა ნაკლები მოძრაობაა. მეტია ხალხი საბაზრო ნაწილში, სადაც იყიდება:

„ნესვი, ნესვი!“
„ყურძენი!“
„გარგარი!“

იმ კიოსკთან მისვლა, სადაც ტკბილი წყლები იყიდება, მართლაც გმირობას მოითხოვს: კიოსკი კრიაზანებis სქელ ღრუბელშია გახვეული, გამყიდველი კი თავს გაზეთის ნახევრით იცავს დაუპატიჟებელ სტუმრებისგან.

ქუჩებში დაგორავენ ეგრეწოდებული „თურქესტანული ურმები“. მათს დამახასიათებელ თვისებას წარმოადგენ უზარმაზარი თვლები. თითო თვალზე დიამეტრი 2 მეტრს აღემატება. მეურმე ზის არა კოფოზე, არამედ ურემში შებმული ცხენის ზურგზე, თან ყვირის „ფოშ, ფოშ! და ხალხს მიარღვევს.

თაშკენდის ქუჩებზე სვლის დროს ბევრს სხვასაც ვამჩნევთ: უკანასკნელ წლებში მიმდინარეობს უზბეკისტანის კულტურული ამაღლება. უზბეკისტანში შემოიჭრა ახალი კულტურა, „ფორმით ნაციონალური, შინაარსით კი სოციალისტური“ მაღაზიებში ვხედავთ უამრავ უზბეკურ ლიტერატურას ლათინურ შრიფტით. დაწესებულებათა შტატების მნიშვნელოვანი წილი უზბეკებია. ბოლო ელება მაჰმადიანურ ფანატიზმის ერთ-ერთ ატრიბუტს ქალების მიერ „ფარანჯის“, ე. ი. ჩადრის, ტარებას. ტრამვაის ვაგონში საკუთარი თვალით ვხედავთ უზბე

კონდუქტორს (რა თქმა უნდა, უფარანჯოდ). ვბანაობთ საკუთარ ოფლში და მაინც ქუჩებზე ვაბიჯებთ.

ერთ ღამის განმავლობაში ჩქარი მატარებელი სამხრეთისაკენ და შემდეგ აღმოსავლეთისაკენ მიგვაქროლებდა. დიდი სიხარულით მივესალმეთ შორეულ მთაგრეხილებს, სამხრეთისაკენ რომ მოჩანდა. ეს იყო ალაი თურქესტანის ქედი, რომელიც ჩრდილოეთიდან აკრავს ,,ქვეყნიერების ბანს''— პამირს. ამ ქედებს იქით ჩვენ გვეგულებოდა გამოუკვლელი ქვეყანა, მთის კეთილმოქმედი ჰაერი 31 და სიგრილე.

ქალაქ ანდიჟანში ჩამოვხტით მატარებლიდან. მალე ისე ჩამოცხა, რომ ყველამ თავი შევაფარეთ ჩაიხანას. ეს იყო უზარმაზარი ფიცრული ტახტი, რომელსაც ზემოდან ჭილობების ჩარდახი ეხურა. ტახტზე ეფინა ნაირნაირი ხალიჩები. ზედ ისხდენ აღმოსავლურად ფეხებმოკეცვით უზბეკები, ყირგიზები, თაჯიკები. გაბერილი ჩინური ჩაიდნები სეირნობდენ მათ შორის. სვამდენ „ფიალებით", ე. ი. ფაიფურის მცირე თასებით. ერთიდაიმავე ფიალით 10—15 უზბეკი რიგ-რიგობით შეექცეოდა უშაქრო „ქოქჩაის".

ჩვენ დავიკავეთ განაპირა ხალიჩა, ჩანთებიდან შაქარი ამოვიღეთ და წყურვილი მოვიკალით, შემდეგ კი შევუდექით ყურძნის და ნესვის განადგურებას.

უკვე სიბნელე იყო და თითქმის აგრილდა, როდესაც მოვიდა ჩვენი ავტომობილი. ჩავსხედით და გავექანეთ ქალაქ ოშისაკენ, სადაც მოთავსებულია თაჯიკისტანის კომპლექსური ექსპედიციის ძირითადი ბაზა. გზა ოშისაკენ მთლიანი აღმართით მიდის, ვინაიდან ოში ზღვის დონიდან უკვე 1100 მეტრის სიმაღლეზე მდებარეობს.

მთვარიან შუაღამეში შევედით ოშში. ავტომობილი მიგორავდა თეთრ „ქიბითქებს" ანუ თიხის სახლებს, შორის. ქუჩაზე არავითარი სულდგმული არ ჩანდა. ყოველივე ის, რაც ირგვლივ გვერტყა, „1001 ღამის"



წითელარმიელები თხილამურების შეჯიბრში.

შესახებ აღგვიძრავდა ფიქრებს. ღამის ნახევრად გამჭვირვალე ეკრანზე რამდენიმე წუთით დაგვენახა „სულეიმანის ტახტის" კლდოვანი სერი, რომელიც ოშს ისე დასცქერის, როგორც ტფილისს მთაწმინდა.

ამ კლდოვანი სერის შესახებ ამხანაგი ფ-ი შემდეგ თქმულებას გვიამბობს: „ოდესღაც ამ ადგილებში სულეიმანი (ე. ი. სოლომონ ბრძენი) გუთანში შებმული ხარებით მიწას ხნავდა. სახნისის კვალი ხეობებად იქცეოდა, ბელტთა წყობამ კი გააჩინა შუა აზიის დიადი მთაგრეხილები. დაიღალა სულეიმანი მუშაობით, შესძახა ხარებს: „ოშ!" (შედექ!) და დასასვენებლად მახლობელ კლდოვან სერზე ჩამოჯდა, რის გამოც უკანასკნელს „სულეიმანის ტახტი" ეწოდა. შემდგომ „ტახტის" გასწვრივ ქალაქი ოში გაშენდა.

„სულეიმანის ტახტი" მაჰმადიანებს შორის წმინდა ადგილად ითვლება, რომელსაც, მათის რწმენით, ძალუძს ავადმყოფთა განკურნვა. ამ მიზნით ოშს ყოველ ზაფხულობით დიდძალი მლოცველი აწყდება. მოლა, რომელიც დაჰპატრონებია ,,სულეიმანის რელიგიურ დისპანსერს'', უცხოელი პილიგრიმებისაგან ბლომად იჯიბავს ფულს. ,,მკურნალობის'' მთელი პროცესი ამ საკვირველ ,,დისპანსერში,, იმაში გამოიხატება, რომ უშვილო ქალები და ნეკრესისქარებიანი მამაკაცეები ჩამოცურდებიან ხოლმე მოსიპულ კლდეზე, ხოლო დაავადებულ კიდურებს (ხელ-ფეხს) საგანგებოდ ამოჭრილ ხვრელებში ჩაჰყოფენ. ასევე ჰყოფენ ორმოებში მტკივან თავსაც. რა საუცხოვო მაგალითია იმის, რომ ხალხის განუვითარებელი გონების მოსატყუებლად

რელიგია ყოველგვარ ხრიკებს მიმართავს!

ამჟამად „სულეიმანის ტახტის“ საწაულებრივ სამკურნალო ძალას უკვე ეკარგება ავტორიტეტი საბჭოთა კავშირის მიწაწყალზე მცხოვრებ მაჰმადიანთა შორის. რაც შეეხება ყაშღარელებს (დასავლ. ჩინეთი) და ავღანებს, ისინი წინანდებურად თაყვანს სცემენ ბუნების ამ ჩვეულებრივ ნაწარმოებს — კლდოვან სერს ქალაქ ოშში.

**ლ. მარუაშვილი.**

# წერილი ბერლინიდან

რამდენი რამ მაქვს თქვენთვის
სათქმელი, მოსაწერი,
ხალისით მიცემს მკერდი
და გადავსცქერი ბერლინს...
ეს — როცა თქვენზე ვფიქრობ
და ხელში ვიღებ კალამს...
მოგონებანი ირგვლივ
მომეხვევიან რკალად!
... საბჭოეთს ვიყავ, მახსოვს,
და თითქოს ახლაც მანდ ვარ,
ვტრიალებ თქვენთან ახლო,
ქუჩებში ხმაურს ვფანტავთ!
რა კარგი იყო თქვენში,
იდგა მზიანი დარი,
ვიყავ მაისის თვეში,
საამოდ ქროდა ქარი!
დავატარებდით დროშებს,
სოციალიზმის მარშით,
მღეროდით:
,,წავიდეთ ომში,
თუ მტერი მკლავებს გაშლის!
და ქუხდენ, ხმაურობდენ,
კომკავშირელთა რიგნი,
პიონერებიც რბოდენ
დემონსტრანტების ირგვლივ...
ეს თქვენში!
მაგრამ ჩვენთან
ისევ ბატონობს მტერი,
ისევ ჯალათად რჩება
კაპიტალიზმი ბერლინს!
ამ ორი კვირის წინათ.
მუშებს გაფიცვა ჰქონდათ.
ქუჩებში სისხლის წვიმა
და ნიაღვარი რბოდა...
ბევრი ეყარა მკვდარი
და ბევრს მოსტეხეს ხელი;
მამა მოუკლეს დავიდს,
და-ძმა — პატარა ჰენრის!
ჰო და მეორე დილით
ჩვენც შევესიეთ ქუჩებს,
ყიჟინით და სირბილით
მოვრთეთ განგაში ურჩი.
ეს იმ სისხლიან ღამის
რისხვად და საპროტესტოდ,
და ჟრიამულის ქარი
მოვსდეთ ქუჩებს და ეზოს!
მაგრამ ჯალათის ხელი
გაჩნდა რეზინის ჯოხით,
დაგვისახიჩრეს ბევრი,
შინ ვბრუნდებოდით ოხვრით...
— ეჰ, რაღა გესაუბროთ,
მანდ მზიანია დარი,
აქაც ჩაღდება უფრო
აჯანყებების ჯარი!
დროებითია, ვიცით,
ლხენა, ზეიმი მტერის.
გვწამს, მეგობრებო, ისიც,
ვნახავთ საბჭოთა ბერლინს!
რაღა გიამბოთ ახლა,
მართლაც რომ მომენატრეთ,
გქონდეთ მრავალი ლხენა,
შორი სალამით!

ალფრედ...

**გ. შატბერაშვილი.**

# კ ი რ ი ს ქ ა რ ხ ა ნ ა შ ი

ჩვეულებრივად აფეთქდა კლდე, გასკდა დინამიტები, ახმაურდა მთები, გორაკები, ქალაქიც, ხმაურს ბანი მისცა მთის ფერდობებმა, კლდიდან გამოვარდნილმა თეთრად აქაფებულმა ჩანჩქერმაც. ახრიალდა მთის აფეთქებული ნაწილი, და თვალუწვდენელი მანძილიდან ჩამოინგრა ლოდები, დაეცა და დაიშალა ქვებად.

ასე გგონია, მოხდა კატასტროფა, ან დაეცა ქალაქს ბანდა, დაუზოგველად უშენენ ქვემეხებს, მაგრამ ეს ჩვეულებრივი ამბავია ქ. სენაკში, ეს ასე ხდება ყოველდღე განუწყვეტლივ, ქალაქის განაპირას, იქ, სადაც ხსენებული მთის ძირში აღმართულია ქარხანა.

ეს ის წარმოებაა, სადაც მუშები თავდავიწყებით მუშაობენ, სადაც ყოველდღე იმარჯვებენ კომკავშირელთა დამკვრელი ბრიგადები, სადაც ტრიალებენ მოუცდენლად ასეული მუშათა მკლავები, სადაც მუშათა ენტუზიაზმი იძლევა სამფინგეგმათა შესრულების საუკეთესო მაჩვენებლებს.

დიდი ხალისით მიდიან ბორია და ლადო ამ წარმოების დასათვალიერებლად. უნდათ ჩქარა გაიარონ ეს მანძილი, მალე ნახონ ქარხანა, მუშები, დამკვრელი კომკავშირლები, რომლებიც გეგმებს ყოველდღე აჭარბებენ, უნდათ საკუთარი თვალით ნახონ კლდის აფეთქება, რომელიც აქ, ქალაქში, უცნაურ ხმაურს იწვევს.

— აი, ლადო, მოვედით კიდეც, ეს პატარა ფერდობი ჩავირბინოთ, და ისიც იქვეა ახლოს!

აღფრთოვანებით უთხრა ბორი ამ ჩამორჩენილ ლადოს; უკანასკნელმა დასიცხული თვალებით გადახედა ბორიას და პასუხის მაგიერ ნაბიჯს მოუჩქარა.

წუთზე ჩაირბინეს დაქანებული ფერდობი; ძირს მთის ანკარა წყაროთი გაიგრილეს გული, პატარა შეისვენეს და განაგრძეს გზა ქარხნისაკენ. ორივეს მოუთმენლობა ეტყობოდა; ოფლიანი თვალებით ზვერავდენ წინსავალ გზას და აჩქარებული ნაბიჯებით ამოკლებდენ მას.

ბორიასთვის ეს ქარხანა, ეს მიდამო უცნობი არ იყო; ამ ორი წლის წინათ ბევრჯერ ამოურბენია ტოლ ბავშვებთან, უთამაშნია, ქარხანაშიც ყოფილა, მაგრამ... მას შემდეგ ორი წელი გავიდა, ბორია პიონერი გახდა, ახლა მისთვის დრო ფულია, მას უწინდელივით უმიზნო თამაშისათვის არ სცალია, თითქოს დატოვა ბავშვობის პერიოდი. ორი წელია ეს მიდამო მას არ უნახავს; მაშინ ეს ქარხანა პატარა, მარტივი და ულამაზო იყო, რომელშიაც მხოლოდ ათიოდე კაცი მუშაობდა; მას შემდეგ წარმოება გართულდა, გადიდდა, და სწორედ ამან დააინტერესა ბორია და ლადო.

ქარხანაში ჩვეულებრივი ხმაურობაა. არ იცი, რას მიაქციო ყურადღება. ვაგონების მოძრაობას თვალს ვერ ასწორებენ, მომხიბლავია ქარხანა ცამდე ამართული ღუმელებით, თვალუწვდენელი მილებით. ღუმელებში ძლიერად გუზგუზებს ცეცხლი და მატება ხმაურს ხმაური. მილებიდან სხვილ ბურთულებად ამოდის მოშავო კვამლი, რომელიც წამსვე იფანტება და მიდამოს ფარავს. სუნთქავ მ კვამლს და სული გეხუთება, ხშირად მოშორებით ვერც კი ამჩნევ შენს წინ ყაცს, დანისლულია მიდამო.

თავდავიწყებით მუშაობს კომკავშირელთა დამკვრელი ბრიგადა, ერთი წუთითაც არ ცდება მათი მკლავები, ტვირთავენ და ცლიან ვაგონებს, გამოაქვთ ღუმელებიდან ქვისა და კირის ნარჩენები, ზოგი კი თვალუწვდენელ მიუდგომელ კლდის ვერტიკალურ ფერდობზე ბაწრებითა და ღვედებით დაკიდებული ებრძვის ქვას, ანგრევს მას, აწყობს შიგ ასაფეთქებელ ნივთიერებებს.

ცოტა მოშორებით ორი ახალგაზრდა ტვირთავდა ვაგონს.

— გამარჯობა თქვენი!

ამაყად მიაძახა ბორიამ მათ.

— გაგიმარჯოთ!

უპასუხეს ახალგაზრდებმა და მუშაობა განაგრძეს.

— რისთვის მოსულხართ? - ჰკითხა ერთმა.

— დასათვალიერებლად,— მკვირცხლად უპასუხა ბორიამ და მომღიმარი თვალებით დააჩერდა განიერ ბეჭებიან ახალგაზრდებს.

წუთით რაღაც სიჩუმე ჩამოვარდა. შეწყდა ვაგონების მოძრაობა, სამუშაოზე დაფარული მუშები ახლა არ ჩანან, სადღაც მიიმალნენ. ამ დროს გაისმა:

— ხაზარდაა!

ყრუდ მოწყდა კლდის კენწეროდან ხმა, რომელსაც ფერდობებმა მისცა ბანი და ბოლოს შთანთქა ხრამმა. თვალუწვდენელი კლდის მწვერვალზე ძლივსღა მოჩანდა ოთხი კაცი.

სახიფათოა ეს მდგომარეობა. ოდნავ ფეხის დასხლტომა, ოდნავ წაბორძიკება, და კაცი განწირულია. უყურებ მათ და თვითონ შიშობ, აღარ გჯერა მათი გადარჩენა.

— ხაზარდა! — კვლავ განმეორდა ხმა მწვერვალიდან. წუთიც [illegible] ააფეთქა დინამიტმა, რამდენიმე [illegible] ჩამოინგრა ყველაფერი, დაიფშვნა კლდე. ყველაფერი გახვეულია კვამლში, რაფერი ჩანს ზევით. ახლა უფრო საეჭვოა იმ მუშების გადარჩენა. მაგრამ... გაიფანტა კვამლი, მოიწმინდა კლდე, და იქვე, იმ ადგილასვე მოძრაობს ოთხივე.

აკვირვებს ეს პატარა პიონერებს.

— აი გმირობა!— დონჯის შემოყრით და გაკვირვებული ხმით თქვა ლადომ, რომელსაც შიშით სახე გაჰფითრებოდა.

— ჰმ! გაიკვირვა ბორიამაც და პასუხად თავი დააქნია.

ქარხანაშიც კვლავ დაიწყო ხმაურობა, კვლავ ამოძრავდა ასეული მკლავი, ახმაურდა ვაგონები, მუშაობა გრძელდება.



თხილამურებით სრიალი

ეროვნული ბიბლიოთეკა



პიონერები ოქტავიან მარტი (უნგრელი) მიხეილ გოგორიშვილი.

რამოდენიმე წუთის შემდეგ ცნობის მოყვარე პიონერებს ახალგაზრდა კომკავშირლები ესაუბრებოდენ მთის აფეთქების ტექნიკაზე.

დაათვალიერეს ქარხანა, გაიცვნეს მუშები, კომკავშირლები და შემდეგ კმაყოფილნი დაშორდენ, ყოველ ნაბიჯზე უკან იხედებოდენ, არ უნდოდათ თვალი მოეშორებიათ მისთვის. დაბრუნდენ და ქარხნის ხშირად ნახვაც განიზრახეს.

მეორე დღეს ეზოში ჩვეულებრივი ხმაურობაა. ზოგი თამაშობს, ზოგი კითხულობს და ზოგიც საუბარშია გართული.

ბორიას ირგვლივ შემოკრებილან ბავშვები, რომლებიც გატაცებით უსმენდენ მის საუბარს.

— მე და ლადომ ვნახეთ, თუ როგორ ხდება მთის აფეთქება, როგორ სკდება დინამიტები, როგორ მუშაობენ მუშები ქარხანაში. საუკეთესო სანახავია ყველაფერი ეს!

— ჩვენც წაგვიყვანეთ, ბორია, ჩვენც წაგვიყვანეთ! — იგრიალეს ბავშვებმა და ლადოს ირგვლივ შემოიბლაუქენ.

— წავიდეთ, წავიდეთ, იყო პასუხი.

— დღესვე წავიდეთ, ბორია!— მოითხოვდენ პიონერები, და იმავე დღეს პიონერთა დარაზმული მწკრივი ესტუმრა ქარხანას.

უჩვეულოდ ხალისობენ პიონერები: მისვლისთანავე თითქმის არაფერი გამორჩენიათ. ყველაფერი წარმტაცი იყო, სანახაობა იზიდავდა ნორჩ ექსკურსანტების ყურადღებას.

არ გასულა რამოდენიმე წუთი, და ქარხანაში მუშაობა შეწყდა. მუშები კაუბიდან, ღუმელებიდან, ცეხებიდან მოდიოდენ დასასვენებლად. ახლა ისვენებს მუშათა მებრძოლი მკლავები, შოშმინდება აძგერებული გულები, მშვიდდება დაღლილი სხეული.

მუშების ერთი ნაწილი მიუახლოვდა პიონერებს, რომლებიც გატაცებით აკვირდებოდენ ქარხნის ყოველ ნაწილს, ახლობელ მიდამოს. ზოგს უზარმაზარი კლდისათვის მიუპყრია თვალყური, ზოგი ცამდე ამართულ ქარხნის მილებს გაუტაცია, ზოგი მომღიმარი თვალებით მისჩერებდა ახალიზ-ზნელი სითი იგრილესენ გახურებულ ეულს, ასე რომ ყურადღება მთლიანად ჩახვეულია ქარხნის მორთულობაში.

— გამარჯობა თქვენი, ყმაწვილებო! – ბოხის ხმით მოაძახა ქალარა მუშამ, რომელიც პიონერების შეხედვით ხალისობდა, ყველას თავიდან ფეხებამდე ათვალიერებდა, არ უნდოდა მათთვის თვალი მოეშორებია.

ქალარა მუშამ პიონერებისაგან მკვირცხლი პასუხი მიიღო. ქალარა მარკოზი ძველი დამკვრელი მუშაა, მას ამ წარმოებაში დიდიხანი უმუშავნია; უწინ, როდესაც აქ, ამ ადგილას, კერძო მეპატრონეს ედგა მარტივი წარმოება, ისიც იქ მუშაობდა; მას განუცდია შიმშილი, სილატაკე და უფლებრივი და მატერიალური სივიწროვე; ის მუშაობდა მხოლოდ ლუკმაპურისათვის.

აი ასე უამბო მან პიონერებს, როდესაც უკანასკნელნი მუშებს შემოუერთდენ:

— მაშინ მე 19 წლისა ვიყავი. ამ ადგილას, სადაც თქვენ ახლა უზარმაზარ ქარხანას ხედავთ, უძველეს



პიონერი შოთა ბერიაშვილი.

გამოქვაბულივით იდგა პატარა, ვიწრო ცილინდრისებური ღუმელი. ამ მთას, ამ მიდამოს, იმ პატარა წარმოებასაც პატრონობდა უწინ ვიღაც ადამია, ფლობდა ის ამ სიმდიდრეს, გვამუშავებდა ჩვენ, ხუთიოდე მუშას, ლუკმაპურისათვის და თვითონ კი ისქელებდა ჯიბეს. დიდხანს, დიდხანს ღადრა წუწკმა ადამიამ სიმდიდრე კლდის, წუწნა შეუბრალებლად ჩვენი სისხლი, მაგრამ ამასაც დაედვა საზღვარი: მოხდა რევოლუცია, საკუთარი მკლავით მოვიცილეთ ზურგიდან ის საშინელი წურბელაც. მას შემდეგ ამ წარმოებაში ვმუშაობ განუწყვეტლივ... და ახლა თქვენც ხედავთ, საბჭოთა ხელისუფლებამ დაანგრია ადამიას ძველი, მარტივი გამოქვაბულები და აი იმის მაგიერ..

სიტყვა შეწყვიტა ქალარამ და ხელები თვალუწდენელმილებიან ღუმელებისაკენ გაიშვირა. კიდევ უნდოდა რაღაცა ეთქვა, რომ...

— ვაშაა! გაუმარჯოს დამკვრელ მუშებს!—იგრიალეს პიონერებმა და დამკვრელ მარკოზას გარს შემოეხვივნენ. მუშების ხმაურმა და ყმაწვილების ჟრიამულმა დაჩრდილა დროებით ჩამოვარდნილი სიჩუმე.

ეროვნული ბიბლიოთეკა



პიონერები 1. გიორგი ცხვედიანი.
2. ლილი მამაგეიშვილი.

მუშებმა სიამოვნება იგრძნეს პიონერების ამგვარმოქცევით. ყველას სახეზე ღიმილი ემჩნეოდა, მათი თვალები პიონერებისადმი უჩვეულო სიყვარულს გამოხატავდენ.

რამოდენიმე ხნის შემდეგ პიონერების მწყობრი მიჰყვებოდა კომკავშირის უჯრედის მდივანს, რომელიც ესაუბრებოდა მათ ქარხნის მუშაობაზე და ამომწურავ პასუხს იძლეოდა.

— მეორე ხუთწლედში აქ დაიდგმება 5 ღუმელი, გაიხსნება 6 სანგრევი კარიერი, გვექნება დიდი კლუბი, საერთო საცხოვრებელი, ასე რომ ეს წარმოება სულ უფრო გადიდდება, გაფართოვდება, — ესაუბრება მათ უჯრედის მდივანი.

— ხუთი ღუმელი, 6 კარიერი! გაიკვირეს პიონერებმა და მხიარულნი შეაჩერდენ მდივანს.

პიონერებმა დაათვალიერეს ქარხნის ყოველი ნაწილი.

— ეს რა არის? — იკითხა ბორიამ და ღუმელის ახლოს უადგილოდ დაყრილ ქვასა და კირის ანარჩენებზე მიუთითა.

— ეს ქვის ნაჩრენია; დღეს უნდა გადაგვეტანა; მაგრამ რადგან კარიერზე დღიური დავალების შესრულება საფრთხეშია, მთელი ძალები მას მივაშველეთ და...

არ დაუმთავრებია ლაპარაკი მდივანს, რომ პიონერებმა ერთხმად ითხოვეს ეს სამუშაო მათთვის მიენდო. თხოვნა დააკმაყოფილეს. სიხარულით აღტაცებულმა ყმაწვილებმა ფარდულებიდან გამოიყვანეს ვაგონები, გამოიტანეს ბარები და გაცხარებით დაიწყეს მუშაობა; ზოგი ტვირთავდა ვაგონს, ზოგს მიჰყავდა ის, ზოგიც ცლიდა დატვირთულ ვაგონებს.

მომხიბლავი იყო ნორჩი პიონერების კოხტა მუშაობა. ხედავდენ მუშები მას, ხედავდა მათ გულდადებულ მუშაობას დირექტორიც, და გული ხალისით ევსებოდათ.

—გვეხმარებით, ყვაწვილებო, ხომ? დინჯი ხმით შეეკითხა დირექტორი ბავშვებს, რომელნიც თავაუღებლივ მუშაობდენ.

— ასეთ საქმეში ხშირად დაგეხმარებით კიდევ, — მკვირცხლად უპასუხეს პიონერებმა და მუშაობა განაგრძეს.

დამკვრელმა პიონერებმა შეასრულეს სამუშაო; ქვისა და კირის ნარჩენებისაგან, რომელიც უადგილოდ ეყარა და მიმოსვლას ხელს უშლიდა, გაწმინდეს გზა. ახლა უფრო კმაყოფილი და ხალისით სავსეა მათი გული: წარმოებას მიეშველნენ, მოეხმარენ მუშებს...



თავისუფალი დრო ჰაერზე.



პიონერები 1. აპოლონ აბელიშვილი.
2. ვასილ ლევანიძე.

— ჩვენც ქარხნის მუშები ვართ! ამაყობდენ ისინი.

საღამოს 6 საათია, პიონერები გამოემშვიდობნენ მუშებს.

— ჩვენ ხშირად გინახულებთ და მოგეხმარებით! — პირდებოდენ მუშებს ისინი. ერთხელ კიდევ შეხედეს პიონერებმა ლამაზად ამართულ კლდეს, რომელზედაც განუწყვეტლივ მუშაობდენ მუშები, ცამდე ამართულ მილებს ქარხნისას, მომხიბლავ მიდამოს, ფერდობებს, ჩანჩქერებს, და კმაყოფილებით, სიმღერით გაუდგენ გზას ქალაქისაკენ.

მეორე დღეს სკოლის პიონერრაზმს მოუვიდა ქაღალდი, რომელშიაც ქარხნის დირექცია გულითად მადლობას უთვლიდა პიონერებს.

**ვლადიმერ თორდუა.**

ეროვნული ბიბლიოთეკა

# განუხორციელებელი ოცნება

დედამიწაზე თითქმის აღარაფერი დარჩენილა დაუპყრობელი. მისი უმაღლესი მწვერვალები, ჩრდილო და სამხრეთ პოლუსები თითქმის მთლიანად დაპყრობილი და შესწავლილია ადამიანის მიერ, დაპყრობილია ხანგძლივი ბრძოლისა და მსხვერპლის შემდეგ.

ადამიანის ყურადღება ახლა მთვარეზე და სხვა პლანეტებზეა მიპყრობილი.

შეიძლებოდეს ფრენა შორს, შორს, ცის ცილრმეში! — აი ადამიანის დიდი ხნის ოცნება, რომელმაც წარმოშვა ისეთი ლამაზი ლეგენდები, როგორიც არის მითი იკაროსის შესახებ და მფრინავი ხალიჩები.

ეს ოცნება განხორციელებულია. ჰაერში გუგუნებენ ფოლადის შევარდნები, მიწაზე დაუშვებლად ათასეულ კილომეტრებს მიფრინავენ გიგანტი დირიჟაბლები.

მაგრამ ეს მხოლოდ დედამიწის ატმოსფეროს საზღვრებში ხდება, ადამიანის გონება კი შორეული პლანეტებისაკენ მიისწრაფის. რა ხდება მთვარეზე? ცხოვრობენ თუ არა მარსზე ცოცხალი გონიერი არსებანი? აი რა საკითხები აღელვებს ჩვენს გონებას.

მთვარემდე „არც ისე შორს არის“, სულ 300.000 კილომეტრია, რომელსაც სინათლე ერთ წუთში გადის. ჩვენ კი მეტი მოგვინდებოდა. თვითმფრინავის სისწრაფე საათში 300 კილომეტრს უდრის, მაშასადამე, მთვარემდე 1000 საათი დაგვჭირდებოდა, ე. ი. 41 დღე და 16 საათი, უკან დასაბრუნებლად კი შედარებით ცოტა — სულ 30 დღე. ჩვენდა სამწუხაროდ, მთვარეზე თვითმფრინავით გაფრენა არ შეიძლება: 11 კილომეტრის სიმაღლეზე ჰაერი იმდენად თხელია, რომ სუნთქვა შეუძლებელი ხდება.

საპლანეტთაშორისო ფრენისათვის სხვა მოწყობილობა-საშუალებებია საჭირო. მფრინავი მოთავსებულ უნდა იქნეს გერმეტიულად დახურულ კაბინაში და უზრუნველყოფილ იყოს ნახევარ წელიწადს საკმაო ჟანგბადითა და სურსათით. კაბინა, რომელიც მოთავსებული იქნება განსაკუთრებულ „ყუმბარაში“, მიწიდან იმ ანგარიშით უნდა გაიტყორცნოს, რომ იგი გასცილდეს დედამიწის ატმოსფეროს და მთვარის მიმზიდველობის სფეროში მოხვდეს, რის შემდეგაც მას შეეძლება იმავე გზით მიწის მიმზიდველობის სფეროში მოხვედრა და მასზე დაცემა.

ეს ამოცანა ფანტასტიური გვეჩვენება და ფანტასტიურადაც გადაჭრა იგი დაახლოვებით ამ 60 წლის წინათ ჟულ ვერნმა თავის რომანში „მოგზაურობას მთვარეზე“. მისმა გმირებმა გააკეთეს ზარბაზანი, გატენეს იგი სპეციალურად მოწყობილი ყუმბარებით, რომელშიაც თვითონ მოთავსდნენ, გავარდა ზარბაზანი, და ისინი გაფრინდნენ მთვარეზე.

ბრწყინვალე ფანტაზიაა, მაგრამ ... ოცნება განუხორციელებელი. ჯერ ერთი — უზარმაზარი ზარბაზნის ჩამოსხმა, მისი გატენა და გასროლა აუარებელ ხარჯს მოითხოვს. ამას რომ თავი დავანებოთ, ვერცერთი ცოცხალი არსება ვერ აიტანს პირველ ბიძგს გასროლის დროს ყუმბარაში, რადგან უცაბედი და ასეთი ძლიერი დაძვრა ადგილიდან წარმოშობს უმძლავრეს წნევას, რომელიც მგზავრებს ლავაშებივით გააბრტყელებდა. ბევრად უფრო შესაძლებელია და სინამდვილესთან ახლოა ისეთი „ყუმბარების“ პროექტი, რომლებიც დამყარებულნი არიან რეაქტიული მოქმედების პრინციპზე, მაშხალის ტიპის მიხედვით.

ალბათ ყველას უნახავს მაშხალის გასროლა. მაშხალის ქვედა ნახევარი გატენილია თოფის წამლით და როდესაც მას ცეცხლს მოუკიდებენ, თოფის წამლის წვის დროს წარმოშობილი გაზები მას ზევით ისვრის.

ეს მოვლენა ნათელი იქნება შემდეგი მაგალითიდან: აიღეთ ყოველი მხრიდან დახურული ქურქელი, რომელიც შეკუმშული გაზით არის სავსე. ფიზიკის კანონების მიხედვით, გაფართოების დროს გაზი ჭურჭლის ყველა კედელს თანაბარი სიმძლავრით აწვება. თუ ასეთ ჭურჭელს ძირში ან გვერდზე გაუკეთებთ ნახვრეტს, გაზი დაიწყებს დენას ამ ნახვრეტიდან. ამ მხარეს წნევა მოსპობილი იქნება, მაგრამ მოწინააღმდეგე წერტილებზე მისი წნევა ძალაში დარჩება, და ჭურჭელი დაიძვრის ნახვრეტის მოწინააღმდეგე მიმართულებით.

ამითვე აიხსნება თოფის დაკვრა უკან, გასროლის დროს. აი სწორედ ამ პრინციპზეა აგებული საპლანეტთაშორისო ფრენისათვის განზრახული მაშხალა.

ერთ-ერთი პირველი გამომგონებელი საპლანეტთაშორისო მაშხალისა იყო 1881 წლის 1 მარტის საქმეზე დასჯილი კიბალჩიჩი. იგი გამოცდილი ტექნიკოსი და ქიმიკოსი იყო.

როდესაც კიბალჩიჩმა სასამართლოს განაჩენი გაიგო, თქვა:

— ჩემი სიცოცხლის უკანასკნელი წლები ჰაერში გასაფრენად მოწყობილი მანქანის პრობლემის გადაჭრას მოვანდომე. მე გთხოვთ ყველა ჩემი ნაწერი და ნახაზები მცოდნე ხალხს გადასცეთ.

კიბალჩიჩმა მთელი თავისი ნაწერები და ნახაზები პროკურორს გადასცა, მან კი იგი პოლიციის დეპარტამენტში გადაგზავნა, სადაც არც კი გასინჯეს, მის საქმეებს მიაკერეს და არქივში ჩააგდეს.

მხოლოდ ოქტომბრის რევოლუციის შემდეგ იპოვნეს ეს ქაღალდები. 1881 წელს კიბალჩიჩი უკვე მუშაობდა საპლანეტთაშორისო საფრენი აპარატის გამოგონებაზე, მან უკვე შეადგინა პროექტი, რომელიც დამყარებული იყო რეაქტიული მოძრაობის პრინციპზე, ასე რომ მას უნდა

ეროვნული ბიბლიოთეკა

მივაკუთვნოთ პირველობა ამ საქმეში.

მაგრამ 1917 წელს ეს პროექტი უკვე საჭირო აღარ იყო. სრულიად დამოუკიდებლად დაიწყო საპლანეტთაშორისო საფრენი მოწყობილობისათვის საჭირო მაშხალის გასაკეთებლად მუშაობა ცნობილმა სწავლულმა კონსტანტინ ედუარდის ძე ციოლკოვსკიმ.

ძნელი სათქმელია, თუ როდის დაიწყო მან მუშაობა ამ მიმართულებით, მაგრამ უკვე 1903 წელს მან გამოიმუშავა და გამოაქვეყნა საჰაერო გემის პირველი ტიპი პირდაპირი დუზით (დუზი ეწოდება მილს, რომლის საშუალებითაც გარეთ გამოდის ანთებული გაზის ნაკადი).

ამის შემდეგ ციოლკოვსკიმ ზედიზედ გამოაქვეყნა რამოდენიმე ტიპი, რომელთა ჩამოთვლასაც აქ არ შევუდგებით.

ციოლკოვსკისთან ერთდროულად მრავალმა სწავლულმა შეიმუშავა თავისი პროექტი, რომელთაც საფუძვლად იგივე მაშხალის გაფრენის პრინციპი უდევს. თავისი პროექტები უკვე გამოაქვეყნეს ეს ნო-პელედრიმ, გოდარმა, ობერტმა, გამონმა, ცინდერმა და მრავალმა სხვამ.

ყველაზე საინტერესო ობერტის პროექტია. ცნობილი ფიზიკოსი და ტექნიკოსი ობერტი მრავალი წლის განმავლობაში ამუშავებდა თავისი აპარატის კონსტრუქციას და ბოლოს ინჟინერ ვალერმოსთან ერთად გამოიმუშავა საბოლოო სქემა, რომლის აღწერაც შორს წაგვიყვანდა.

ვთქვათ, ჩვენს მიერ გადალახულია ყველა სიძნელე, მოწყობილია საპლანეტთაშორისო საფრენი აპარატი და, აი, პირველმა ადამიანებმა უკვე მიაღწიეს მთვარეს.

წარმოვიდგინოთ, რომ წინასწარ განზრახული გეგმის თანახმად, მგზავრები დაეშვნენ მთვარის განათებულ მხარეზე, მისი განივის 60° ან 70°-ზე.

ამ შემთხვევაში მგზავრების განკარგულებაში იქნება 14 ჩვენებური დღე, რომლის ხანგრძლივობა მთვარის ერთ დღეს უდრის. მაშხალა მშვიდად დევს მთვარის ზედაპირზე,-- და მისი სათვალთვალო მილებიდან მგზავრებს შეუძლიათ დაათვალიერონ მთვარის პეიზაჟი. მათ კარგად იციან, და ამასვე ადასტურებს მაშხალის გარეთ დაკიდებული ბარომეტრიც, რომ გარდა მაშხალისა აქ არსად არ არის ატმოსფერო და, ცხადია, აბსოლუტურად არავითარი ჰაერის წნევა არ არსებობს. თუ ისინი გააღებენ კარს ან ფანჯრებს, მაშხალაში მოთავსებული ჰაერი სწრაფად გაიფანტება. ამას გარდა, ჰაერის წნევა მაშხალაში შეწყდება, და ადამიანის ორგანიზმის შიგნითა ჯერ კიდევ მოქმედი წნევა დაგლეჯს მათ ნაჭერ-ნაჭერ, როგორც ეს ემართებათ ღრმა წყლების თევზებს, როდესაც ისინი ძალზე ჩქარა ამოჰყავთ წყლის ზედაპირზე. მაშასადამე, ასე მოქცევა არ შეიძლება. მაშხალაში არის ჩვეულებრივი საჰაერო შლუზი, კედელთან მოწყობილია პატარა კამერა, რომელიც ტელეფონის ჯიხურს მოგვაგონებს, მას ორი კარი აქვს დატანებული, ერთი გარეთ, ხოლო მეორე — შიგნითა მხარეს. მოგზაურები იცვამენ წყალმყვინთავის კოსტუმებს, რომლებიც სქელი რეზინისაა. ეს ტანისამოსი ადვილად გაუძლებს ატმოსფერულ წნევას შიგნიდან. თავზე იხურავენ სპილენძის მუზარადებს, რომელთაც დატანებული აქვთ სქელი მინები სათვალთვალოდ. ზურგზე იკიდებენ პატარა ბალონს, ჟანგბადით სავსეს. როდესაც ერთ-ერთი მგზავრი შედის კამერაში, მის უკან კარი ჰერმეტიულად იხურება, ჰაერის ტუმბო მოძრაობაში მოყავთ, და კამერაში მოთავსებული ჰაერი მაშხალაში გადადის. ბარომეტრი აღნიშნავს ჰაერის წნევას. აი იგი ნოლზე გაჩერდა. მაშინ გარეთა კარი იღება, და პირველი ადამიანი გადადის მთვარის ზედაპირზე.

იგი ძალზე მსუბუქად გრძნობს თავს: მიწაზე 75 კლ. იწონიდა, აქ კი იგი 6-ჯერ ნაკლებია, ე. ი. 12 $^1/_2$ კლ. იწონის: მთვარე ხომ ექვსჯერ ნაკლებია დედამიწაზე. პატარა მსუბუქი ნახტომი, რომლითაც იგი დედამიწაზე დაახლოებით $^1/_2$ მეტრზე ახტებოდა, აქ5 მეტრის სიმაღლეზე ისვრის მას,





დირიჟაბლი ფრენის დროს.

გარბენით კი მას შეუძლია 30 მეტრის სიმაღლეზე ახტეს.

მზის სინათლე იმდენად ძლიერია, რომ ადამიანი იძულებულია თვალები ნახევრად დახუჭოს. ცა სავსებით ბნელია. თუ ადამიანი ზურგით მზისკენ მიბრუნდება, იგი შავი ცის ფონზე ბრწყინვალე ვარსკვლავებს ხედავს. მთვარეზე სინათლისა და უკუნი სიბნელის მკაცრი ცვლა არის. აი მახლობლად კონუსის მსგავსი კლდის ჩრდილი. ადამიანი შედის ამ ჩრდილში. რა საოცარი განსხვავებაა! სანამ აქ შემოვიდოდა, მას მზის სხივები უხვად ევინებოდა, ათბობდა, აქ კი თვალით არაფერი ჩანს, სასტიკი სიცივეა, და იგი ჩქარობს გამოვიდეს უკან, მზის სინათლეზე.

ახლა იგი ხედავს თავის ამხანაგებს, რომლებიც გამოვიდენ მაშხალიდან და მისკენ მიიმართებიან. მას ეცინება ამხანაგების უცნაურ სიარულზე და უყვირის მათ, მაგრამ საკუთარი ხმა აყრუებს ყურს და მოახლოვებულ თანამგზავრებამდე კი არ მიდის: მათ შორის არსებული ცალიერი სივრცე ამის საშაულებას არ იძლევა.

ერთ-ერთი ამხანაგი უახლოვდება მას ისე ახლო, რომ მათი მუზარადები ერთმანეთს ეხება, და მხოლოდ ამის შემდეგ ხდება ლაპარაკი შესაძლებელი.

მგზავრები ათვალიერებენ მიდამოს აგროვებენ ნიადაგის ნიმუშებს და საბოლოოდ რწმუნდებიან, რომ მთვარის ზედაპირს არასოდეს არ გაუცდია წყლის ზეგავლენა, იგი მთლიანად ვულკანური ჯიშებისაგან შედგება. იყო თუ არა ოდესმე წყალი მთვარეზე? თუ იყო, სად გაქრა იგი? შეიძლება, იგი მთლიანად შეისუტა მთვარემ თავის სიღრმეში, ან, შეიძლება, ორთქლის სახით მან გადალახა დედამიწასთან შედარებით უმნიშვნელო მთვარის მიმზიდველობა და გაიფანტა საპლანეტთაშორისო სივრცეში?

იბადება მრავალი კითხვა, რომლებიც ჯერჯერობით პასუხს ვერა პოულობენ: გაჩნდა თუ არა მთვარე დედამიწასთან ერთად, თუ იგი შემოიჭრა, როგორც მოხეტიალე კოსმიური სხეული, ჩვენს სისტემაში სადმე შორიდან და, აქ დაკავებული დედამიწის მიმზიდველობით, უგზოუკლო მოხეტიალე კომეტიდან გადაიქცა ჩვენს თანამგზავრად, რომელიც განუსაზღვრელი საუკუნოებით უნდა ბრუნავდეს მიწის გარშემო? თუ ეს ასეა, მაშინ ადვილად შესაძლებელია მასზე არასოდეს არ იყო წყალი.

ყველა ეს და სხვა მრავალი საკითხი აინტერესებს ჩვენს მოგზაურებს მათი კვლევა-ძიების დროს. ისინი ამჩნევენ, რომ კომპასის ისარი აქაც მთვარის პოლუსისაკენ იხრება, რომელიც ჩვენს ჩრდილოეთ პოლუსს შეეფარდება, და იმ დასკვნამდე მიდიან, რომ დედამიწის მსგავსად მთვარის მაგნეტიზმი ყველა ნიშნით ალბათ მზის სხივებიდან წარმოიშვა.

გადის დღეები. დროა დაბრუნდნენ. მაშხალა უკვე მზადაა უკან დასაბრუნებლად. უკანასკნელი მგზავრის შემდეგ მაგრად იხურება კარი. იღება გაზების ონკანი. დაწოლა მარქვალზე, რომელსაც დიუზებთან მიაქვს ნაპერწკალი, და უკვე ისმის ანთებულ გაზის შიშინი. მგზავრები ჩქარობენ საწოლებზე დაწოლას, რათა ადვილად აიტანონ მაშხალის დაძვრის დროს წარმოშობილი ბიძგი, და ამჩნევენ, თუ როგორ შორდებიან მთვარის ზედაპირს.

გადის ნახევარი საათი. წნევა თანდათან ნელდება და მუდმივი სიჩქარით, 15 კილომეტრით წუთში, მაშხალა მიქრის დედამიწისკენ. ძლივს გავიდა 40 წუთი, და მათ უკვე მიაღწიეს ნეიტრალურ პუნქტს; მიწის მიმზიდველობა სძლევს მთვარისას, და მაშხალა წარმოუდგენელი სისწრაფით მიქრის მისკენ. ახლა საჭიროა გვერდის დიუზების გამოყენება, რათა აცილებულ იქნეს ძალზე სწრაფი ვარდნა.

აი, მიწა უკვე ფარავს ცის ნახევარს, უცბად ატეხილი სტვენა და ხმაურობა აცნობებს მგზავრებს, რომ ისინი უკვე შევიდენ დედამიწის ატმოსფეროში. დარჩენილი საწვავი მა-





ტფილისის პირველი საცდელ-საჩვენებელი ბაღი. პოლიტექნიკური სათამაშოების გამოფენა.

სალით ისინი უკუვებიძგის საშუალებით ამუხრუჭებენ მაშხალას. ალიქრებ:, მაშხალა ერთი მომენტის განმავლობაში თითქმის უძრავად დგას დედამიწიდან 10 კლ. მანძილზე. ამ დროს მას ეყოფა უზარმაზარი პარაშუტი, რომელიც სწრაფად იშლება მის ზევით. მაშხალა ხელახლად იწყებს ვარდნას, იგი ნელ-ნელა ეშვება, ატმოსფერო თანდათან სქელდება და უფრო და უფრო ბერავს პარაშუტს, რომელიც ეწინაალმდეგება სწრაფ ვარდნას, და ბოლოს სუსტი ბიძგი ამცნობს მგზავრებს, რომ ისინი უკვე დაეშვნენ მიწაზე, .

150 წელი გავიდა მას შემდეგ, რაც ადამიანი პირველად აფრინდა ჰაერში აეროსტატით.

30 წელი გაეიდა თვითმფრინავის გაფრენის პირველი დღიდან. გავიდა უკვე 25 წელიწადი, რაც ამ დარგში მუშაობენ ციოლკოვსკი, ობერტი და სხვები ჩვენ უკვე გვაქვს საფრენი აპარატების პროექტები, რომლებითაც ალბათ განხორციელებულ იქნება, არც თუ ისე შორეულ მომავალში, მთვარეზე გაფრენის იდეა.

რომ მთვარეზე გაფრენა შესაძლებელია უმგზავრებოდ, ეს მთლიანად მტკიცდება მთელ რიგ მეცნიერთა გამოანგარიშებათა შედეგებით. ამჟამად დამტკიცებულად უნდა ჩაითვალოს, რომ საპლანეტთა შორისო კავშირის ამოცანა პრინციპულად გადაწყვეტილია, საჭიროა მხოლოდ მისი პრაქტიკულად გადაჭრა მთელ რიგ საცდელ და სასინჯ გაფრენათა ჩატარებით.

თუ ეს მოხერხდა და გაფრენებმა კარგი შედეგი გამოიღო, შემდეგი მაშხალით უკვე ადამიანი გაფრინდება,



გაბედული ოცნება რეალობად გადაიქცევა.

# ნორვეგიელი პიონერის წერილი

— მე მინდა მოგითხროთ თქვენსაბჭოთა კავშირის პიონერო ამხანაგებო, როგორ ვცხოვრობთ ჩვენ ნორვეგიაში და განსაკუთრებით აქ, ტონსბერგში.

ჩვენ ჩამოვაყალიბეთ პიონერთ ბაზა და კორესპონდენტთა ჯგუფი, რადგან ჩვენ გვინდა ვაწარმოოთ აზრთა გაცვლა-გამოცვლა თქვენთან, მუშათა ქვეყანაში მცხოვრებ პიონერებთან. ძალიან დიდი განსხვავებაა ჩვენსა და თქვენს ცხოვრებაში. აქ ჩვენი მასწავლებლები ჩვენი წინააღმდეგნი არიან, და ჩვენ იძულებულნი ვართ ვასწავლოთ მასებს ბევრი უსარგებლო რამ, განსაკუთრებით რელიგია.

სასწავლო დღეს სკოლაში ჩვენ ვიწყებთ ლოცვით და ფსალმუნების სიმღერით, მასწავლებელი მოგვითხრობს უამრავ სულელურ ამბავს ბიბლიიდან და ჩვენც ვალდებული ვართ ვისწავლოთ ბიბლიური ისტორია, სადაც მრავალი ისეთი რამ წერია, რაიც ჩვენთვის სრულიად გაუგებარი რჩება.

სასარგებლო საგნებისთვის, როგორიცაა მათემატიკა და გრამატიკა, ძალიან მცირე დრო რჩება. გარდა ამისა, ჩვენ ვსწავლობთ ნორვეგიის ის-



პიონერი ვალოდია რაზმაძე.

ტორიას — ძველი მეფეების შესახებ, შესახებ იმისა, თუ როგორ აწარმოებდენ ისინი ბრძოლებს და ომობდენ. მუშათა კლასის შესახებ ჩვენ არაფერს არ გვასწავლიან.

საბჭოთა კავშირზე მასწავლებელი გვასწავლის მხოლოდ სიცრუეს, მასწავლებელი თქვენს ქვეყანაზე მოგვითხრობს რაღაც საშინელებებს. მაგრამ ჩვენ, პიონერებმა, ვიცით, რომ ეს ტყვილია და ვარწმუნებთ სხვებსაც, რომ მასწავლებელი გვატყუებს, რომ თქვენ ცხოვრობთ კარგად და რომ ჩვენში ცხოვრობენ ცუდად და შიმშილობენ მუშათა შვილები.

მამაჩემი უმუშევარია. როცა იგი შოულობს მცირე სამუშაოს, უმცირეს ჯამაგირს აძლევენ, თუმცა ის კარგი მექანიკოსია. ასეთ მდგომარეობაშია მრავალი მუშა ნორვეგიაში.

ამიტომ ჩვენ, პიონერები, მთელი ენერგიით ვეცდებით გავხდეთ კარგი კომუნისტები, ვიბრძოლებთ მუშებთან ერთად ჩვენი კლასის განთავისუფლებისათვის კაპიტალიზმის ბრჭალებისაგან, რომ დავამყაროთ სოციალიზმი, როგორც თქვენ. მაშინ ნორვევიელი მუშებიც კარგად იცხოვრებენ.

იყავ მზად! პიონერული სალამით

**ვალტერ სოშტადი.**

ეროვნული ბიბლიოთეკა

ს. ბეზბოროდოვი.

# ბოლშევიკებმა აღმოაჩინეს ციმბირი*)

13 თებერვალს დილით ლენინი გამოიყვანეს ქვის ვიწრო საკანიდან და გრძელი ტალანებით ციხის უფროსთან მიიყვანეს.

— აი, წაიკითხეთ და მოაწერეთ ხელი, რომ თქვენ ეს წაიკითხეთ, — უთხრა ციხის უფროსმა ლენინს და აუწოდა ქაღალდი.

ლენინმა წაიკითხა: „პოლიციის დეპარტამენტი უცხადებს ნაფიც ვექილის თანაშემწეს ვლადიმერ ილიას ძე ულიანოვს, რომ, თანახმად უზენაესი ბრძანებისა, რომელიც 1897 წლის 29 იანვარს გამოიცა ულიანოვის საქმის გამოკვლევის შემდეგ, რაც გამოიხატება სახელმწიფო დანაშაულში, ულიანოვი უნდა გადასახლებულ იქნეს აღმოსავლეთ ციმბირში პოლიციის მეთვალყურეობის ქვეშ, სამი წლის ვადით, 1900 წლის 29 იანვრამდე“.

ლენინმა აიღო კალმისტარი და დაწერა:

„ეს დადგენილება გამომიცხადეს 1897 წლის 13 თებერვალს“.

ნაფიცი ვექილის თანაშემწე ვ. ულიანოვი.

ოცდათოთხმეტი წლის წინათ ვლადიმერ ილიას ძე იყო ნაფიცი ვექილის თანაშემწე, მაგრამ ვექილობას არასოდეს არ ეწეოდა. ის ვექილი იყო მხოლოდ ქაღალდზე. ის ეწეოდა სულ სხვა საქმიანობას, ეს იყო — რევოლუციური ბრძოლა. რევოლუციური ბრძოლა იყო სწორედ ის „სახელმწიფო დანაშაული“. რომლისთვისაც გადაასახლა ლენინი მეფის მთავრობამ.

17 თებერვალს ლენინი გაუდგა ციმბირის გზას. საშინელი იყო სიტყვა ციმბირი. ასეული და ათასეული ადამიანები მიდიოდენ ციმბირში ჯარისკაცებისა და ყაზახების თანხლებით.

სამოცი წლის განმავლობაში, 1825 წლიდან 1885 წლამდე 773 კაცი გადაასახლეს ციმბირში. ერთი ასეთი გადასახლება ნახა ამერიკელმა ჟურნალისტმა ჯორჯ კენანმა. მან ასე აღწერა ეს:

„როდესაც ციხეს მივუახლოვდით, ქუჩაში, ციხის წინ, ხალხის ბრბო შევნიშნეთ. აქ იყო დაახლოვებით ასამდე ქალი, პატარა ბავშვები ჭრელი კაბებით და მამაკაცები ტუსაღის ნაცრისფერი ტანისამოსით. ამათ გარშემორტყმოდენ ჯარისკაცები. ისმოდა ხმამაღალი ლაპარაკი. დროგამოშვებით ისმოდა ავადმყოფი ბავშის ტირილი და ჯაჭვის ჩხარაჩხური, როდესაც ფეხზე დგომით დაღლილი ტუსაღი მიწაზე ჯდებოდა. ოფიცერი იდგა ქალებისა და ბავშვების ჯგუფში, რომელნიც ეხვეწებოდენ ურმით წაეყვანას.

ოფიცერმა უბრძანა:

— დაეწყეთ!

სიჩუმე ჩამოვარდა. მხოლოდ ჯაჭვების ჩხარაჩხური ისმოდა. ჯარისკაცებმა გადაიკიდეს მხარზე თოფები. „ნაბიჯით იარ“. — მოისმა ბრძანება, და ყველანი დაიძრენ ადგილიდან. სამი თუ ოთხი ყაზახი, მუქი მწვანე ფერის ტანისამოსით, ცხენებზე იჯდა და ისე მიჰყვებოდენ ქალები და კაცები, გარშემორტყმულნი ჯარისკაცებით, მჭიდრო და უსწორმასწორო რიგებად მიდიოდენ; მათ მიჰყვებოდა ურმები მოხუცებულებით, ავადმყოფებით და პატარა ბავშვებით, შემდეგ კი ყაზახები. რამოდენიმე წუთის შემდეგ პროცესია აღარ ჩანდა. უკანასკნელი, რაც მომესმა, ეს იყო ჯაჭვების ჩხარაჩხური და ყაზახების ბრძანება პატარა ბავშვების მიმართ. „მწკრივიდან ნუ გამოდიხართ“. ასე ერეკებოდენ ხალხს ციმბირში, კატორღაში. ათას ვერსს გადიოდენ ფეხით, ჯაჭვებით ხელ — ფეხშეკრულნი, ვიდრე მიაღწევდენ გადასახლების დანიშნულ ადგილს.

„მათი უმაღლესობის“ ბრძანებით პოლიცია რევოლუციონერებს ციმბირის ყველაზე შორეულ და მიყრუებულ კუთხეებში ასახლებდა.

აი პატარა ბარათი, რომელიც დღევანდლამდე ინახება სარევოლიუციო მუზეუმში: „ძვირფასო სარა! გწერ მხოლოდ რამოდენიმე სტრიქონს. მე და იოსებ ჯუღაშვილს გვაგზავნიან კიდევ ასი ვერსით შორს. 80 ვერსით ვიქნებით დაშორებულნი ჩრდილოეთის პოლარული წრიდან. ვიქნებით მხოლოდ ჩვენ ორნი და ორი ყარაული. ჩვენზე თვალყურის დევნება გააძლიერეს, ფოსტას მოწყვეტილნი ვართ. წელიწადში მივიღებთ რვა ან ცხრა წერილს.

გკოცნი. შენი იაკი“...

ასე სწერდა იაკობ მიხეილის ძე სვერდლოვი თავის დას. ოქტომბრის რევოლუციის შემდეგ ამხ. სვერდლოვი იყო საბჭოების ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის პირველი თავმჯდომარე, საბჭოების გარშემო მუშათა და გლეხთა დარაზმვის ერთ-ერთი პირველი ორგანიზატორი. იოსებ ჯუღაშვილი, რომელზედაც ლაპარაკია წერილში და რომელიც სვერდლოვთან ერთად გაძევებულ იქმნა მეფის მთავრობის მიერ პოლარული წრის იქით, ციმბირის ყველაზე მიყრუებულ კუთხეში, არის იოსებ ბესარიონის ძე სტალინი.

ყველა საუკეთესო ბოლშევიკმა გამოიარა ციმბირის ციხეები და გადასახლება. გაიარა ოცდაორმა წელმა მას შემდეგ, რაც მეფის პოლიციის დეპარტამენტის მიერ გადასახლებულ იქნა ციმბირში ნაფიცი ვექილის თანაშემწე ვლადიმერ ილიას ძე ულიანოვი.

1919 წლის 24 აგვისტოს რუსეთის რესპუბლიკის სახალხო კომისარ-

* ს. ბეზბოროდოვის (ბოლშევიკებმა აღმოაჩინეს ციმბირი) ერთი საუკეთესო ბავშთა წიგნთაგანია და უახლოეს დროში ცალკე წიგნად გამოვა.
რედაქცია.

ეროვნული ბიბლიოთეკა



ნარნ. ყინულმჭრელ „რუსანოვის“ ექსპედიცია ყინულმჭრელის რაზმი მოკლულ სელაპთან კუნძულ დიკსიანზე.

თა საბჭოს თავჯდომარე ვლადიმერ ილიას ძე ულიანოვ-ლენინმა რადიოთი აცნობა საბჭოთა ქვეყნის მუშებსა და გლეხებს·

ამხანაგებო! წითელმა არმიამ გაათავისუფლა კოლჩაკისგან მთელი ურალი და დაიწყო ციმბირის გათავისუფლება. ურალისა და ციმბირის მუშები და გლეხები აღტაცებით ხვდებიან საბჭოთახე ლისუფლებას, ვინაიდან იგი რკინის ცოცხით ჰგვის მათი მიწიდან მემამულეთა და კაპიტალისტების ნაძირალებს, რომელთაც გააწამეს ხალხი გადასახლებით, დაცინვით, ცემით და მეფის რეჟიმის აღდგენის ცდებით“.

ბოლშევიკები, რომელთაც პოლიცია მიერეკებოდა ციმბირის კატორღასა და ციხეებში, ახლა დაბრუნდენ წითელი არმიის სათავეში მდგომნი

ბოლშევიკები ათეულ წლებს ატარებდენ კატორღაში. ახლა ისინი დაბრუნდენ ციმბირში, როგორც გამათავისუფლებელნი მემამულეებისა და კაპიტალისტებისაგან, დაბრუნდენ ახალი ცხოვრების აღმშენებლებად.

# ჯაგვა და მატარებელი

მეფის ციმბირი გაუვალი იყო. ათას კილომეტრზე იყო გადაჭიმული ჭუჭყიანი საურმე გზები. გაზაფხულსა და შემოდგომაზე მოძრაობა შეჩერებული იყო, ტალახში ჩახრჩობა შეიძლებოდა. ციმბირში იყო რკინისგზის ერთი მთავარი ხაზი, მისგან მიემართებოდა რამოდენიმე პატარა შტო. ეს იყო და ეს. ასეთი გზებით სამრეწველო ქვეყანას არ შეუძლია იარსებოს. სამრეწველო ქვეყანაში, როგორიც ხდება დღეს ციმბირი, ტვირთების ნაკადი უნდა მიემართებოდეს ქალაქებსა და ქარხნებს შორის. ათასი ტონობით დამზადებული საგნები, მილიონი ტონობით ნახშირი, ლითონის მრავალი ათასი ვაგონი, პური, ხორცი, ბოსტნეული და მანქანები ყოველდღე უნდა მიდიოდეს, რომ შეუწყოს ხელი ქალაქების, სოფლების და ფაბრიკა-ქარხნების არსებობას.

ციმბირის უზარმაზარი ახალი ქარხნები ყოველდღიურად დაამზადებენ რამოდენიმე ათას ვაგონ მანქანებს, სასოფლო-სამეურნეო იარაღებს, გამანოყიერებელ ნივთიერებებს და ქიმიურ პროდუქტებს. ყველა ეს სასწრაფოდ უნდა განაწილდეს სოფლებსა და ქალაქებს შორის. რომ ქარხნებმა შეძლონ მუშაობა, საჭიროა ყოველდღიურად მიწოდება მრავალი ასეული ვაგონი ქვანახშირის, ლითონის მადანის და სხვა ნედლეულის. ურალის კომბინატის ქარხნებში ციმბირიდან შეუწყვეტლივ უნდა მოდიოდეს ქვანახშირი, კოკსი, ხე-ტყე, შავი ქვა, სპილენძი, კალა, ქიმიური პროდუქტები.

ციმბირში ურალის კომბინატიდან შეუჩერებლივ უნდა მიდიოდეს რკინის მადანი, თუჯი და ფოლადი.

ციმბიში კი ყოველ ას კვადრატულ კილომეტრზე მხოლოდ ას ოცი მეტრი რკინისგზაა, დანარჩენი 99 კილომეტრი და 880 მეტრი ჯაგვით ან ფეხით უნდა გაიარო.

- რკინის გზის გარეშე ბრძმედებს ვერ გააძლებ: ჯაგვით ვერ გადმოზიდავ ოთხ მილიონ ტონა ნახშირს. საჭირო გახდება საბჭოთა კავშირის მთელი

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჯაგვების მოგროვება და კიდევ სადმე ახოვა. სამოცდაათი დღის განმავლობაში თუ გადმოიტან ჯაგვით ნახშირს კუზნეცკიდან მაგნიტოსტროიში, მაგნიტოსტროის ქარხანა კი ამასობაში გაჩერდება, ჩაქრება მისი ბრძმედები და კოკსის ღუმელების ბატარეები.

არა, ასე მთელი საქმე ჩაიშლება.

საჭიროა მატარებლები, და არა ჯაგვები.

უნდა იყოს რკინისგზები, და არა საურმე გზები.

რკინისგზისთვის არ არის საშიში შემოდგომის ტალახი.

გაზაფხულზე, როდესაც მდინარეები გადმოვა ნაპირებიდან, ვერ გაივლი ჯაგვით, ვერც ხის ხიდზე გახვალ და ვერც ფონში, მაგარ რკინის ხიდზე კი, ქვის ბურჯებზე დაყრდნობილზე, მატარებელი გაივლის ზამთრის ქარიშხალშიც და შემოდგომაზედაც.

## ელექტრობა და ორთქლი.

ახლა ციმბირში ათას კილომეტრებზე გაჰყავთ ახალი გზები. კუზნეცკის ქარხნიდან ალტაის ველური ტყეებისა და მთების მადნებისაკენ მიიკლაკნება ას თოთხმეტი კილომეტრის მანძილზე ახალი რკინისგზა.

ლენინსკის ქვანახშირის მაღაროებიდან ნოვოროსიისკამდე გადაიჭიმა ფოლადის რელსები, ნოვოროსიისკზე კი გადის პირდაპირი გზა მაგნიტოსტროიმდე. შეხვდათ გზაში განიერი და ღრმა მდინარე ობი, და ააგეს ამ მდინარეზე რკინის მაგარი ხიდი. ეს არის ყველაზე დიდი ხიდი მთელ საბჭოთა კავშირში, მანამდე კი იყო მდინარე ვოლგაზე ქ. სიზრანის მახლობლად, რომელსაც სამ წელიწადს აგებდენ, მდინარე ობზე კი ხიდი უფრო გრძელია და მის აგებას მხოლოდ ცხრა თვეს მოუნდენ.

კემეროვსკის ქარხნებსა და ანჟერის ნახშირს აერთებს ასკილომეტრიანი ახალი რკინი გზა.

ორას ოთხმოცდაერთი კილომეტრი რკინისგზა მიიმართება რიდერის თუთიის ქარხნებიდან სადგურ რუბცოვკამდე. სულ ამ წელს გაყვანილ იქნება ორიათას კილომეტრზე მეტი რკინისგზა, და ხუთ წელში, 1936 წლისთვის, ახალი რკინისგზა იქნება გაყვანილი 30 ათასი კილომეტრის მანძილზე, ხუთჯერ მეტი, ვიდრე მოსკოვიდან ვლადივოსტოკამდე, საბჭოთა კავშირის ერთი ბოლოდან მეორემდე. შენდება ათას კილომეტრზე მეტი დაკიდებული რკინისგზები, შვიდი ასათი კილომეტრი მკვიდრი გზები ტრაქტორისთვის, კეთდება სამასი კილომეტრი ახალი კარგი ყამიროვანი გზები ავტოსთვის, ზამთარში გაკეთდება ექვსიათასი კილომეტრი ყინულის გზები ხე-ტყის, თევზისა და ბეწვეულის გადმოსატანად. მაგრამ ყველა ეს კიდევ ცოტა იქნება ურალო-კუზნეცკის კომბინატისთვის.



ყირიმი. სამოსწავლო პლანერი „სტანდარტი“ მიაქვთ სტარტზე გასაფრენად.

კომბინატის ქარხნებში ცხოვრება უფრო სწრაფად გარბის, ვიდრე გაქანებული მატარებელი.

არა ორთქლმა, არამედ ელექტრობამ უნდა გადაზიდოს ტვირთი რკინისგზებზე. ეს უფრო იაფი, სწრაფი და მონახერხებელია. ელექტრომატარებელს არა სჭირდება დიდხანს გაჩერება სადგურზე წყლის, შეშის, ნახშირის ან ნავთის ასაღებად.

ელექტრომატარებელი ისეთივეა, როგორც ტრამვაი; მას არ სჭირდება წყალი, შეშა ან ნახშირი. გადაწიე სახელური ერთ მხარეზე — დაიძვრის მატარებელი, გადაწიე მეორე მხარეს — გაჩერდება.

ელექტროს რკინისგზების სქელ
ბადე დაფარავს ურალო-კუზნეცკ
კომბინატის ეზოს. მაგნიტოგორსკ
დან უფამდე უკვე კეთდება ელე
ტროს რკინისგზა, სიგძით სამას ოთხ
მოცი კილომეტრი. 1936 წელს ა
გზაზე გაივლის პირველი ელექტრ
მატარებელი, მანამდე კი ჩვეულებრ
ვი ორთქლმავლები ივლიან.

მთელ მსოფლიოში უდიდესი ელ
ქტროს რკინის გზა გადაიჭიმე
კუზბასიდან ნოვოსიბირსკზე, ანგარ
სტროიზე, ირკუტსკზე ზაბაიკალ
ქარხნებამდე. ის მხარე, რომელსა
ველოსიპედი არ უნახავს, უცებ ნ
ხავს ელექტრომატარებელს.

ელექტროს რკინისგზა გაივლ
კუზნეცკის აუზიდან ურალისკენ. დღ
ღამის განმავლობაში შეუჩერებელ
მოძრაობა იქნება, — გაცვლა ლით
ნისა და ნახშირისა ურალსა და კუ
ბასს შორის.

დაკიდებული რკინისგზები, ელ
ქტროს რკინისგზები, სატრაქტორ
და ყამიროვანი გზები მიემართებ
ჩრდილოეთიდან სამხრეთისაკენ, ა
მოსავლეთიდან დასავლეთისაკენ.

1935—36 წ. ურალო-კუზნეცკ
კომბინატის ტერიტორია იქნება ცე
ტრი საავტომობილო მრეწველობ
მთელი საბჭოთა კავშირის მასშტაბი
აქ ერთი წლის განმავლობაში დამზა
დება ისეთი რაოდენობა ავტომობ
ლებისა, რამდენსაც ამზადებს დღ
მსოფლიო ავტომობილების მეფ
ჰენრი ფორდის ქარხნები. ორთქლ
ვალთა საყვირები დააფრთხობენ მხ
ვებს ციმბირის ტყეებში.



ყინულმჭრელი. რუსანოვის ექსპედიცია. მარხილებში შესაბმელი ძაღლები. ბინა—დიკნიზის კუნძულზე.

სამგზავრო და საბარგო ავტომობილების საყვირები აყვირდება ციმბირის ყველა გზაჯვარედინზე.

## შავი ზღვა ციმბირში.

რკინისგზები მიადგება ციმბირის ღრმა და გრძელი მდინარეების ახალ ნავსადგურებს. მატარებლები მიიტანენ ნავსადგურებში სელს, მსუქან ხორცს, ოქროსფერ თაფლს, ყვითელ ერბოს, ბეწვეულს, ტყავს, ხე-ტყეს, ხორბალს, ნახშირს.

ციმბირის მდინარეებზე გაცურდება დატვირთული ტივები და ნავები. ტივები და ნავები, ციმბირის ძვირფასი საქონლით დატვირთული, მდინარეებით შევა ჩრდილოეთ პოლარულ ზღვაში, სადაც დაელოდება მათ კარსკის გემების ექსპედიცია.

საბჭოთა მძლავრ ყინულ მჭრელები გაუკაფავენ გზას გემებს პოლარული ზღვის მუდმივ ყინულებში.

ციმბირის სიმდიდრე წავა მთელ მსოფლიოში. მაგრამ მხოლოდ სამ თვეს შეუძლია გემებს ჩრდილოეთ პოლარულ ზღვაში ცურვა, ისიც ყინულმჭრელის დახმარებით. როდესაც დაიწყება ცხრათვიანი პოლარული ზამთარი, ყინული შეკრავს მთელ ღზვას, და ვერავითარი ყინულმჭრელი ვეღარ გაჭრის მას.

ამ მოძრაობას სჭირდება კარგი თბილი ზღვა რომელიც არასოდეს არ იყინება რომ შესაძლებელი იყოს მთელი წლის განმავლობაში იტვირთებოდეს გემები ციმბირის სიმდიდრით! ოჰ, ციმბირს რომ მისცა ისეთი ზღვა როგორიც შავი ზღვაა!

როგორ მოხერხდეს, რომ შავი, ზღვა ციმბირთან იყოს? იგი ხომ წყლით სავსე საინი არ არის, რომ აიღო და გადაიტანო.

ზღვის გადატანა შეიძლება. შეიძლება შავი ზღვის ისე დაახლოვება ციმბირთან, რომ ნოვოსიბირსკი და ნოვოროსიისკი უფრო ახლო იქნეს ერთმანეთთან, ვიდრე მოსკოვი და მაგნიტოსტროი.

მოსკოვიდან მაგნიტოსტროიმდე ახლა ხუთი დღის სავალია, მაგრამ ნოვოსიბირსკიდან ნოვოროსიისკში შესაძლებელი იქნება სამ-ოთხ დღეში მისვლა.

რით? აეროპლანით?

არა, აეროპლანით ძნელია მილიონ ტონა ტვირთების გადაზიდვა, ასეთი აეროპლანები ჯერ არსად არ არის, მათ არსად არ აკეთებენ.

ელექტროს რკინისგზა მოსპობს მანძილს ციმბირსა და შავ ზღვას შორის. ათას კილომეტრს შეუჩერებლივ გაიქროლებს ელექტრომატარებლები ციმბირიდან სტალინგრად-ნოვოროსისკამდე.

ერთი ელექტროს რკინისგზა გადაიტანს ციმბირში შავ ზღვას, მეორე—მოსკოვს, ლენინგრადს, ტულას. ერთი ელექტროს რკინისგზა წავა ციმბირიდან შავი ზღვისაკენ, მეორე ციმბირიდან საბჭოთა კავშირის ცენტრისაკენ.

გადაიტყორცნება ციმბირის საუნჯე ჩრდილოეთისაკენ დიდი მდინარეებით და აღმოსავლეთ-სამხრეთ-დასავლეთისაკენ ელექტროს რკინისგზებით. ოკეანის გემები გაიტანენ მათ ევროპაში, ამერიკაში, იაპონიაში მანქანებსა და წამლებზე გადასაცვლელად, რკინის გზები გაიტანენ ციმბირის პურს, ხორცს, ერბოსა და ციმბირის ქარხნების სხვა ნაწარმოებს ციმბირის ყველა კუთხეში, თურქესტანში, ყირიმში, მოსკოვსა და სარატოვში.

ზუსტი ცხრილის მიხედვით გაფრინდებიან დიდი თვითმფრინავები ევროპა—ამერიკაში, მოსკოვზე, ომსკზე, ნოვოსიბირსკზე, ირკუტსკზე გადაფრენით.

ციმბირი აღარ იქნება ის ველური მხარე, სადაც ჯერ კიდევ ამ ათი წლის წინათ ხალხი მიდიოდა, როგორც უდაბნოში.

ციმბირში იქნება იმდენივე სკოლა ელექტროსადგურები, ქარხნები და ქალაქები, რამდენიც ლენინგრადისა და მოსკოვის ოლქებშია, კიდევ მეტიც, ვინაიდან ციმბირი ყველაზე მდიდარი კუთხეა საბჭოთა კავშირში.

ჩვენ დავიმორჩილებთ ყველაფერს: დედამიწას, ჰაერს, წყალს, ქარს და მზეს.

გუშინდელ რუკებს ციმბირისას ჩვენ თაროებს ჩავაბარებთ. ამ რუკით გზა აგერევათ ჩვენ ციმბირში.

ახალ ციმბირში ჩვენ გავიყვანთ ახალ მდინარეებს: შევაერთებთ სრუტეებით კამას ირტიშთან და პეჩორასთან. გადავთხრით მთებს და გავაჩენთ მათ ნაცვლად პატარა ზღვის ოდენა ტბებს, გავიყვანთ ახალ რკინისგზებს. რომელთა გასწვრივაც სწრაფად გაიშლება ახალი ქალაქები, რომელნიც არ არიან ჯერ რუკაზე აღნიშნულნი. ათასობით ახალი ფაბრიკა-ქარხნები და ელექტროსადგურები აღინიშნება ციფრებით რუკებზე.



ყინულისმჭრელი „სიბირიაკოვის“ ექსპედიცია.

მაშინ შევადარებთ ორ რუკას, ახალი და ძველი ციმბირისას.

ეს ხომ სრულიად ახალი ქვეყანაა! ურალის ქედის იქით ჩვენ ავაშენეთ ახალი, სამრეწველო ქვეყანა.

## ლენინის გზით

ბოლშევიკური პარტია ხელმძღვანელობს ამ აღმშენებლობას. კომუნისტურ პარტიას ახსოვს სიტყვები თავისი მასწავლებლის და ბელადის, ვლადიმერ ილიას ძის ლენინის.

ლენინი კი ამბობდა: „ჩვენ მხოლოდ მაშინ გავიმარჯვებთ საბოლოოდ, როდესაც ქვეყანა იქნება ელექტროფიცირებული, როდესაც მრეწველობას, სასოფლო მეურნეობას და ტრანსპორტს მიეცემა თანამედროვე მსხვილი მრეწველობის ტექნიკური ბაზა“.

ვლადიმერ ილიას ძე ლენინი ამბობდა, რომ გაღატაკებული მეფის რუსეთის ადგილას ჩვენ შეგვიძლია ავაშენოთ ახალი, მდიდარი და ბედნიერი ქვეყანა მხოლოდ მაშინ, როდესაც ავაგებთ მანქანების, დაზგების და ელექტრობის დიდ ქარხნებს, სადაც შრომა ადვილი და გაიახვილებული იქნება, სადაც მშრომელები თვითონ იქნებიან ბატონ-პატრონი თავისი ცხოვრების და სიმდიდრისა.

კომუნისტური პარტია ლენინის პარტიაა. მას მიჰყავს მუშები და გლეხები იმ გზით, რომელსაც ლენინი ასწავლიდა.

კომუნისტური პარტია ხელმძღვანელობს ურალო—კუზნეცკის კომბინატის მშენებლობას. კომბინატი შენდება მისთვის, რომ ციმბირის დედამიწის შუაგულიდან ამოღებულ იქნეს მილიონი ტონობით ნახშირი და მადანი, ამ ნახშირიდან და მადნიდან გადადნეს მილიონი ტონობით თუჯი, რკინა, ფოლადი, სპილენძი, ტყვია, კალა, მთიხი, ამ ლითონებიდან კი გაკეთდეს დაზგები, მანქანები, მექანიზმები ფაბრიკა-ქარხნებისთვის, მაღაროებისთვის, ელექტროსადგურებისა და კოლმეურნეობებისთვის.

შევასრულოთ ის, რისთვისაც იბრძოდა ვლადიმერ ილიას ძე ლენინი.

ის კი იბრძოდა იმისთვის, რომ შეიქმნას როგორც ჩვენთან, ისე მთელ სოფლიოში ახალი, კეთილი ცხოვრება, სადაც არ იქნება ექსპლოატაცია და ჩაგვრა.

აი, ჩვენ ვაშენებთ ურალ-კუზნეცკის კომბინატს, რომ შევასრულოთ ლენინის სურვილი, რომ ავაშენოთ სოციალიზმი.

თ. ბ.

## რექტორი ჩუდეცკის მკვლელი იოსებ ლალიაშვილი

„ლალიაშვილი ჩვენს წარმოდგენაში გმირი გახდა. მან ერთმა დაიხსნა სემინარია ასეთი ტირანისაგან“ — ასე წერს ფილიპე მახარაძე რექტორ ჩუდეცკის მოკვლის შესახებ. დიახ, იგი ჭეშმარიტად ტირანი იყო, და ახალგაზრდა იოსებ ლალიაშვილი პირველი იყო, რომელმაც დაიხსნა სემინარია ტირან ჩუდეცკისაგან.

ამხ. არკადი ხუნდაძის მეტად საინტერესო ბროშურა სწორედ რექტორ ჩუდეცკის მოკვლის ამბებს ეხება. ამხ. ხუნდაძე მეტად დაკვირვებით იძლევა ისტორიული დოკუმენტების კომენტარიებს. ჩვენ წინ მდებარე წიგნი „რექტორ ჩუდეცკის მკვლელი იოსებ ლალიაშვილი“ მოგვითხრობს არა მარტო ჩუდეცკიზე, არამედ იმ ტირანული რეჟიმის შესახებაც, რომელმაც ლალიაშვილი იქამდე მიიყვანა, რომ ერთ მშვენიერ დღეს პატარა ხანჯლით საკუთარ ოთახში განგმირა ტიგრანი ჩუდეცკი. სავსებით მართალია ამხ. არ. ხუნდაძე, როდესაც წერს, რომ „თითქმის ყველა ოფიციალური დოკუმენტი და ზოგირთი მოგონება გვეუბნება, რომ იოსებ ლალიაშვილმა მკვლელობა ჩაიდინა პირად ნიადაგზე, მაგრამ „მონაწილის“ მოგონება, რომელიც მან ვრცლად დაწერა ამ ისტორიულ მკვლელობაზე, ნათლად ამტკიცებს, რომ „რექტორ ჩუდეცკის მკვლელობას გარკვეული და წინასწარ მომზადებული, უაღრესად დიდი პოლიტიკური ხასიათი ჰქონდათ“.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ამხ. არ. ხუნდაძის ეს აზრი სავსებით მართალია. იოსებ ლალიაშვილის მიერ

გადადგმული ნაბიჯი რევოლუციური იყო, რუსეთის ბიოროკრატიული მართველობის ტირანული რეჟიმის წინააღმდეგ მიმართული. იოსებ ლალიაშვილის მიერ ჩადენილი ტერორისტული აქტი იყო იმის მაჩვენებელი, რომ, მიუხედავად თავისუფალი აზრის საშინელი დევნისა სემინარიაში, რომლის მთავარი მიზანი სასულიერო პირების მომზადება იყო, იქ რევოლუციური სულისკვეთება დღითი-დღე ღრმავდებოდა და მტკიცდებოდა.

ამხ. არკადი ხუნდაძეს წიგნი აღსანიშნავია აგრეთვე იმითაც, რომ მასში ნათლადაა დასურათებული მაშინდელი სკოლის აღზრდის მეთოდები, მკაფიოდ არის მოცემული იმ მკაცრი რეჟიმის სურათები, რომელიც გამეფებული იყო მაშინდელ სემინარიაში.

ბრძოლა რევოლუციური წიგნებისა და რევოლუციური აზრის წინააღმდეგ, ბრძოლა რუსეთის ბიუროკრატიული მართველობის განმტკიცებისათვის, — აი რას ისახავდა თავის მიზნად სემინარია, მაგრამ რევოლუციური აზრი ვერ შეაჩერა ასეთმა მკაცრმა რეჟიმმა, და იოსებ ლალიაშვილი რევოლუციური აზრის მომწიფების საუკეთესო მაჩვენებელია.

გარდა ამისა, ამხ. არკ. ხუნდაძის წიგნში კარგადაა მოცემული ის ამბავი, რექტორ ჩუდეცკის დასაფლავების დღეს მის საფლავზე ეგზარხოსი პავლე რომ წყევლის იმ ერს, რომელმაც დაბადა ლალიაშვილი. აქ იყო წყევლა არა მარტო ეგზარხოს პავლესი, არამედ პავლეს ენით ლაპარკობდა ის წესწყობილება, რომელსაც ემსახურებოდა სიკვდილის უკანასკნელ დღემდე ტირანი ჩუდეცკი, რომელიც გმირული გამბედაობით გაგმირა სტუდენტმა ლალიაშვილმა.

ამხ. არკ. ხუნდაძის წიგნის ავკარგიანობის შესახებ ბევრი რამეს თქმა შეიძლება, მაგრამ რეცენზია ამის საშუალებას არ იძლევა.

დასასრულ ხაზი უნდა გაესვას იმ მდგომარეობას, რომ ამხ. ხუნდაძის წიგნი მეტად საინტერესოა, საინტერესოა იმიტომ, რომ იგი მოგვითხრობს დოკუმენტალურად იმ უკუღმართი ყოფის შესახებ, რომლის წინააღმდეგ მსოფლიოს ერთი მეექვსედის მუშათა კლასი დიდი ხანია იბრძოდა, და კომუნისტური პარტიის ხელმძღვანლობით შესაძლებელი გახდა მისი ძირფესვიანად განადგურება.

წიგნში მეტად საინტერესო ფაქტიური მასალებია მოთავსებული, იგი ყოველმა ახალგაზრდამ უნდა წაიკითხოს, როგორც მეტად სასარგებლო და საინტერესო წიგნი.

ქ. მ.



გ. სტეფენსონის მიერ გაკეთებული პირველი ორთქლმავლის მოდელი, გამოგზავნილი გერმანიიდან ოქტომბრის 15 წლის თავზე მოსკოვის მუზეუმისათვის.

1933 წელს გამოდის ყოველთვიური
ნახატებიანი საბავშვო ჟურნალი „პიონერი"
წელიწადი მე-8-ე
წლიური ფასი — 8 მან. ცალკე ნომერი — 1 მან.
6 თვით — 5 მან. ორმაგი ნომერი — 1 მ. 50 კ.

ყოველთვიური ჟურნალი „ოქტომბრელი"
წელიწადი მე-6-ე
წლიური ფასი — 6 მან. ცალკე ნომერი — 75 კაპ.
6 თვით — 3 მან. ორმაგი ნომერი — 1 მან.

მისამართი; ტფილისი, ალმასკომის ქ. № 7. ხელის მოწერა მიიღება: 1. ოლქა-ტელეგრაფ[illegible] კანტორა[illegible], 2. სახელგამის პერიოდ-სექტორში — რუსთაველის გამზირი № 84, ბაქლვითი სიღუვის რ[illegible] ყოველ [illegible] და ს[illegible] ყველა მაღაზიებში.



ეროვნული ბიბლიოთეკა